



გაზეთი გაეოღის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N16 (9267)

10 ივნისი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

### საქართველოში მონივი სემოვა გაეანთა




2

მადლოვის ბარათი  
მუნიციპალიტეტის  
მერს

2

განავითარე შენი რეგიონი

2



საყოველთაო მხარყოების და  
ბეინიერების 1 ივნისი



3

“სახლი თანადგომავი”  
გავვითა დასვის  
და მიულოცავს

3

ისყოხია, ხოვოხვ სუაინრეი  
რღის გზამკერუი

5

“იგაღია, სამტრედიას იმ  
ჩეპიონატუივ ვასახელებთ”



7

ავთანდილ  
კუბალაძე  
სამართველოს  
ვერცხლის  
პრიზიორია

12



# საქართველო მონიში სლოგანებითა

ლევან გაბუნია

ტრადიცია იყო წინათ ასეთი, მორწმუნეები ერთმანეთს მარხვის დაწყებას ულოცავდნენ. დღეს მარხვა იწყება, მეც გილოცავთ... ასე დაიწყო 4 ივნისს გამართული საკრებულოს სხდომა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა კობა ძიძიგურმა, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2018 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის ცვლილების დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის

№ 38252 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის აპრილის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობების პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგობების დამტკიცების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის შესაბამის დადგინდებულ ცვლილების შეტანა. - ამ დადგინდების შესახებ არსებული სხვა განსახილველ საკითხთა ირგვლივ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა შალვა

არზუმანიანმა და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამხრატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ მოახსენეს.

აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს მაღარიის პროგრამა, ე. ი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს. პროგრამაში მონაწილე თანამშრომლების ანაზღაურებამ გამოიწვია ცვლილება აიპ "საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" 2018 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცებაში.

განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო საკრებულო.



# წარსულისაგან შობილი აწმყო

ლევან გაბუნია

შთამბეჭდავად, ღირსეულად აღინიშნა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დღე, დამოუკიდებლობის საუკუნოვანი იუბილე. მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანას მეგობარი სახელმწიფოების პირველი პირები, დიპლომატიურ კორპუსთა წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

დღეს ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ, როგორც ცნობილია, მიმდინარე ეტაპზე ხმამაღლა საუბრობენ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის აუცილებლობასა და გენდერულ თანასწორობაზე, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, საუკუნის წინ 1918-21 წლებში პარლამენტში (დამფუძნებელი კრება) ხუთი ქალბატონი გვეყავდა, ესენი იყვნენ:

ქრისტინე შარაშიძე, ელენორა მახვილაძე, ანა (სტასია) სოლოდამვილი, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ორჯონიძე-ტორთოშვილიძე.

ასე რომ, ევროპული ღირებულებები ჯერ კიდევ საუკუნის წინათ აღაფრთოვანებდათ პირველი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მესამიწველებს. ამას კი საქმიანად გამოხატავდნენ.

უინტერესო არ უნდა იყოს გავისხენით, თუ რომელმა სახელმწიფოებმა როდის აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

თურქეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად სცნო (დღე იური) ეს მოხდა 1918 წლის 3 ივნისს.

შემდეგი იყო არგენტინა - 1919 წ-



ის 13 სექტემბერი. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ, აღიარეს ჩვენი დამოუკიდებლობა 1921 წლის 27 იანვარს.

პოლონეთმა იმავე წლის 28 იანვარს, რუმინეთმა 1921 წლის 18 თებერვალს. ავსტრიამ ამავე წლის 17 თებერვალს, ლუქსემბურგმა 23 თებერვალს, საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს, გერმანიამ 1920 წლის 24 სექტემბერს.

იყო მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებმაც საქართველოს დემოკრატია და სუვერენიტეტი აღიარეს მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ანექსია. ეს ქვეყნები იყვნენ: ჰაიტი, ლიბერია, მექსიკა, პანამა, სიამი, ჩეხოსლოვაკია.

ეს ფაქტი, ანექსიის შემდეგ დამოუკიდებლობის ცნობა ქართველი ერისადმი სოლიდარობის დიდი გამოხატულება იყო.

## მადლობის ბარათი მუნიციპალიტეტის მერს

მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისი სამსახურები ყურადღებით ეკიდებიან იმ პრობლემათა დროულ აღმოფხვრას, მოსახლეობას რომ აწუხებს. ახალგაზრდა კაცი, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი **გოგა ლომინაძე** გვეწვია ამას წინათ მადლობის ბარათით რედაქციაში.

"გულითად მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის მერს, **ბატონ პალმირანე ფოცხვერიას**, დიდ ჯიხაშიში "სერგეთის" უბნის მცხოვრებლებთან ერთად, იმის გამო, რომ ჩვენს უბანში გაიწმინდა სანიაღვრე არხი და გაიჭრა ახალი არხი, რითაც მთელი რიგი პრობლემა მოეხსნა უბნის მცხოვრებთ.

მადლობას ვუხდით აგრეთვე სამუშაოთა შემსრულებელ კომპანია შპს "მიმდემს" და სპეცტექნიკის პროფესიონალ მემანქანეს, **პანაზირ ლელუაშვილს**, სატენდერო პირობებით, სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულებისათვის". - ვკითხულობთ ბარათში.

თავისთავად მისასალმებელია ხელისუფალთა მიერ შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა წინაშე არსებული საკითხების მოგვარების საქმეში და რაღა თქმა უნდა, მოსახლეობის შესაბამისი რეაგირებაც.

**ლევან გაბუნია**

# განავითარე შენი რეგიონი

ლევან გაბუნია

**ამოუწერავია ახალგაზრდების ენერჯია, ინტელექტი. ფიქრობენ, მსჯელობენ, იღვწიან, ძალიან მუშაობენ არ იშურებენ, რათა საზოგადოების ფართო მასებამდე მიიტანონ საკუთარი აზრები. მიიღონ უფროსებისგან ობიექტური შეფასებები, რჩევები, შენიშვნებიც კი. ნიჭიერ ახალგაზრდებს, უკვე სტუდენტს, ირაკლი მარჯანიშვილისა და წარმატებულ მოსწავლეს, ლუკა ტყეშელაშვილს, საზოგადოება კარგად იცნობს. სწორედ მათ მიეციწვიეს 4 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელში ღონისძიებზე "განავითარე შენი რეგიონი".**

მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა დამსწრეთა წინაშე საკუთარი პროექტები წარადგინეს, მათ სურთ განავითარონ საკუთარი თემი, სოფელი, დაბა, ქალაქი, მუნიციპალიტეტი, რეგიონი... იმდენად დახვეწილი, ბუნებრივი, შეჯერებული იყო თითოეული სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომ ძნელია, უკეთესი გამოვიყოს. ვის სოფელში კაფეს მოწყობას სურს, ვის კიდევ მომავლის პარკის ეკრანინაცია და შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ხილვა ეკრანზე, ვის კიდევ რა და ვის რა.

შეკრებილთ მიესალმნენ და პროექტის ირგვლივ ესაუბრნენ ლუკა ტყეშელაშვილს და ირაკლი მარჯანიშვილი. ღონისძიება მოსაწყვენი რომ არ ყოფილიყო, გათვალისწინებული იყო მხატვრულ-მუსიკალური ნომრები, რომლებიც ისევ საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა წარმოადგინეს. "საქართველოს სტუდენტთა პარლამენტი ახალი დარსებულა, არაერთი სა-

ინტერესო ღონისძიება ეწყობა მისი ეგიდით. რაც შეეხება პროექტს "განავითარე შენი რეგიონი" მოწოდებულია, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივები გააუღეროს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე". - გვეუბნება სტუდენტთა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ირაკლი მარჯანიშვილი და საქართველოს ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების ხელმძღვანელების, ანზორ მეგრელიშვილისა და გიგა გლუხნიძის მისამართით ბევრი თბილ სიტყვას ამბობს.

უდავოდ კარგი ჩანაფიქრი კარგადვე წარმოაჩინეს მოსწავლეებმა თავიანთ პროექტებში, თუმცა აშკარად თვალმისაცემი იყო ერთი გარემოება, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. კერძოდ, დარბაზში აშკარად იგრძნობოდა უფროსი თაობის სიხალგაოთე. ვერც იმ საჯარო სკოლების წარმომადგენლები (ადმინისტრაცია, პედაგოგები) შევნიშნეთ, რომელთა მოსწავლეებმაც თემები გაგვაცნეს. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება

დაგვიანებით დაიწყო, ახალგაზრდებმა სათქმელი თქვეს. მისასალმებელია, ახალგაზრდებიც რომ ფიქრობენ უკეთ მოაწყონ, განავითარონ საკუთარი თემი, სოფელი, დაბა, ქალაქი, მუნიციპალიტეტი, რეგიონი...



# საერთო მხარყოფის და ბეჭედიერების 1 ივნისი

ნათია ნაცვლიძე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ტრადიციულად, მასშტაბურად აღინიშნა ჩვენს მუნიციპალიტეტში. სიცოცხლე წყვედა ერთი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სკენაზე, ფერადი და ლამაზი დღე ჩვენმა მომავალმა თაობამ გვარუქა. სამტრედიის ყველა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ნომრები წარმოადგინეს. ვრანდიოზული კონცერტის დაწყებამდე კი, ფოიეში სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

ჯერ პირველი ბაგა-ბაღის აღსაზრდელები წარსდგნენ სცენაზე. უმწვენიერესი ცეკვა "ტანგო" სიმღერაზე "თეთრი ვარდები" მეორე ბაგა-ბაღმა წარმოადგინა, მესამე ბაგა-ბაღელებმა სცენაზე ფიფქა და შვიდი ჯუჯა გამოიყვანეს, დატვირთული იყო მეოთხე ბაგა-ბაღელთა პროგრამა. მათ შეასრულეს: "გვირგვინის ცეკვა", "ყვავილების ცეკვა", "მეღუზების ცეკვა", სამეჯლისო ცეკვების პოპური და სანახაობრივად ძალიან საინტერესო ნომერი მხატვრულ ტანვარჯიშში. მეხუთე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა შეასრულეს "ტვისტი". მეექვსე ბაგა-ბაღელებმა კი ქოლგებით იცეკვეს სიმღერაზე "წვიმა". მეშვიდე ბაგა-ბაღელებმა ცეკვა "ყვავილების ვალსი" მოგვიდგინეს. მეცხრე ბაგა-ბაღი ცეკვა "პოპური" მოგვესალმა. ცეკვა "მამბო" შეასრულეს მეათე ბაგა-ბაღელებმა. მეთერთმეტე ბაგა-ბაღელებმაც ქო-

ლგებით ცეკვა წარმოადგინეს. კულაშელეებმა "როენ-როლით" მოგვაჯადოვეს, დაბლა გომელებმა გვირგვინის ცეკვა შეასრულეს, დიდი ჯიხაძის ბაგა-ბაღელებმა სიმღერაზე "წვლის წვეთები" იცეკვეს. ცეკვა "სამაიათი" წარსდგნენ ეწრის ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, ზედა გომის საბავშვო ბაღელებმა კი ცეცხლოვანი ესპანური ცეკვა სიმღერაზე "მამბოლია" შეასრულეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლაძეული აღსაზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გავა: "ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ბავშვების ნამუშევრით, მე და ქალბატონი მარინა შენგელია მუდმივად თვალს ვადევნებდით რეპეტიციებს და მათი მუშაობის პროცესს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ღამას სანახაობას შემოგვთავაზებდნენ. შევთავაზეთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის ბაღებს, 24 ბაგა-ბაღიდან 16-მა მოახერხა, საინტერესო ნომრებით წარმდგარიყვნენ პუბლიკის წინაშე. წლებულს ეწრის, ზედა გომის და დიდი ჯიხაძის ბაღებიც დაემატნენ და ეს სასიამოვნოა,



ნათია ნაცვლიძე

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათი გაიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე მოზარდებსა და მრავალშვილიან ოჯახებზე.

"სახლი თანადგომას" ოფისის წინ 1 ივნისს რამდენიმე ათეული ადამიანი სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ამანათის მისაღებად რიგში იდგა.

10 კილოგრამი პურის ფქვილი, 3 ლიტრი ზეთი, 5 კილოგრამი მაკარონი, 500 გრამი კანფეტი, 500 გრამი ბრინჯი, 3 კილოგრამი შაქარი, 2 ლიტრი ლიმონათი, 1 კილოგრამი ტომატ-პასტა - სულ 50 ლარის ღირებულების ტვირთი 98 ბენეფიციარზე განაწილდა, რომელთა შორის 25 მრავალშვილიანი ოჯახი და 73 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდია.



# "სახლი თანადგომას" ბავშვთა დაცვის დღე მიულოცავს



1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რამდენიმე წელია, რაც ხორციელდება და შესაბამისი კატეგორია ამ პროგრამით კმაყოფილია.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და "სახლი თანადგომას" მიმართ იმ დღეს ბევრი სამადლობელი სიტყვა ისმოდა. მათ შორის იყო სოფელ გომში მცხოვრები 8 შვილის დედა თეა კვანტალიანი: "უფროსი 18 წლის მყავს, უმცროსი 3 თვის, ეს პრობლემა ჩემი მრავალშვილიანი ოჯახისთვის, შეიძლება, საკმარისი არ იყოს, თუმცა რამდენიმე დღის პრობლემას მაინც მოგვიხსნის. მადლობას ვუხდით, "სახლი თანადგომას" დირექტორს, მზევინარ ბოხუას, იმ გულისხმიერებისათვის და ზრუნვისთვის, რასაც იგი მუდმივად იჩენს ჩვენისთანა ადამიანების მიმართ".

იზო ზაკალაშვილი შეზღუდული შე-

საძლებლობების მქონე პატარა გოგონას დედაა. 1 ივნისს ადამინისტრაციულ შენობაში ისიც მოვიდა, რათა კუთვნილი ამანათი მიეღო:

"აქ ყოველთვის დიდი ყურადღებით მხვდებიან. იციან ჩემი გაჭირვება. რამდენჯერაც მოვედი და შევაწუხე, იმდენჯერ დიდი გულისხმიერებით მომისმინეს და სიტბოთი გამისტუმრეს. ამჯერადაც მივიღე ამანათი, რომელიც შეღავათი იქნება ჩემი ოჯახისთვის".

როგორც მზევინარ ბოხუა შენიშნავს: "სასურველია, ადგილობრივი ბიუჯეტს ჰქონდეს საშუალება ამანათების ღირებულება გაიზარდოს და პრობლემათა ჩამონათვალი მრავალფეროვანი გახდეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მრავალშვილიანთა ოჯახები გაცილებით მეტს იმსახურებენ. იმედი მაქვს, მომავალში სოციალური პროგრამის დაფინანსება გაიზარდება და მეტ კეთილ საქმესაც გავაკეთებთ".

# მგზავრთა სანიმუშო მომსახურებისათვის

"საქართველოს რეინიგზის" სამტრედიის ვაგზლის კოლექტივი (ვაგზლის უფროსი სოფიკო კვაჩიანი-ილი) ეტაპობრივად ახორციელებს ვაგზლებისა და ბაქნების რეაბილიტაცია-მოდერნიზებას. სამტრედიის ვაგზალში, გურიისა და სამეგრელოს ჩათვლით, 18 ვაგზალი და 14 ბაქანი შემოდის. სოფიკო ამბობს: ჩემი უპირველესი მოვალეობაა, დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ვა-

გზლებსა და ბაქნებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები იყოს დაცული, ასევე, ოპერატიულად შესრულდეს აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებები. დამსვენებელთა და მგზავრთა კულტურული მომსახურება დღეს ნომერ პირველ ამოცანად გვესახება. ძირითადი როლი ამ საქმეში ვაგზლის მუშაკებს ეკისრებათ. გადახედა რა თავის შესაძლებლობებს ვაგზლის კოლექტივმა ივალდე-

ბულა, 1 ივნისისათვის დაამთავრონ სამტრედიის ვაგზალში შემავალი ვაგზლებისა და ბაქნების კეთილმოწყობა. ამ მხრივ დღეისათვის სამტრედიის ვაგზლის ბაქნის ჩაუტარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები, შეიღება ფასადი, დაიდგა სკამები, ურნები, დამონტაჟდა შუქდიოდური ელექტრონული ტაბლოები, მათზე სადღეღამისო რეჟიმში ხდება სამგზავრო მატარებლების გასვლისა და

მიღების ინფორმაციის მიწოდება. სადგურ ხოშში, სენაკში ვაგზლის შენობას ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება, წესრიგში იქნა მოყვანილი ბაქნის განათება. სადგურ აბაშაში გაკეთდა ახალი ტუალეტი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვაგზლებში საღაროების შეუფერხებელ მუშაობას. ისინი უზრუნველყოფილი არიან ელექტროსაბუჯდი მანქანებით, სატარიფო სახელმძღვანელო-

ბით, ტელეფონებით. თუ ადრე მოლარე 3-5 წუთს ხარჯავდა ბილეთის გაფორმებაში, ახლა ეს დრო ერთ წუთამდე შემცირებული. ბილეთების დაჯავშნა შეიძლება 5 დღით ადრე. ვაგზლების კოლექტივების ვალდებულებაა პირნათლად ჩაატარონ მიმდინარე წელს მგზავრთა საგზაფერო გადაყვანის კამპანია.



# ისევ უნდა ღაბიჯდეთ, რას კი ბუნებას აზნი

ნათია ნაცვლიძე

პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ნინელი შანიძემ თავის სადამრიგებლო მესამე კლასის მოსწავლეებთან ერთად მთელი წლის განმავლობაში იმუშავა პროექტზე “ნარჩენები ჩვენს გარემოში”. ბავშვებმა ამ ნარჩენებით შექმნეს რესურსები, დიდი იყო პროექტში მშობელთა ჩართულობაც. პროექტის პირველი ეტაპი თემების განხილვას მოიცავდა, დაბინძურებულ გარემოსათვის ფოტოების გადაღება – მორე ეტაპს, ხელოვნების გაკვეთილზე ამ ნარჩენებით შესანიშნავი ნივთების დამზადება კი მეორე ეტაპი. ბავშვებმა და პედაგოგმა ამ საქმეში დასუფთავების სამსახურის წარმომადგენელი გურამ ხურცილავა ჩართეს, რომელმაც ბავშვები დააკვლიანა. კლასის დასრულების შემთხვევაში ღონისძიებაც ამ პროექტის ბოლო ეტაპს მიეძღვნა. განსხვავებულმა და საინტერესო ღონისძიებებმა გულგრილი არავინ დატოვა. საბურავები ულამაზეს საყვავილებად ქცეულან, რომლითაც ეზოს ინტერიერი შეიძლება დამშვენდეს. ერთი შეხედვით უსარგებლო პლასტიკის ბოთლებით ლამის ხელოვნების ნიმუშებია შექმნილი, ულამაზესი და ფერადი ყვავილები... ეს ყოველივე საქმედ ქცეული მათი სიტყვაა. ამ ეზო-სკოლის სილამაზის შემდეგ მეცნიერული ცოდნით გამყარებული, შემოქმედებითად დატვირთული ღონისძიება წარმოადგინეს. გვიჩვენეს, არ გადავიწყვარა არც პლასტიკის ბოთლები, არც ალუმინის თუ რკინის ქილები. მათი თქმით, ნარჩენების დახარისხებით, ერთი მხრივ, მცირდება ნაგავსაყრელები და მეორე მხრივ, მცირდება უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. დახარისხებული ნარჩენების გაყვანით კი შესაძლებელია თანხის გამოშვებაც. ბავშვებმა კარგად იციან, რომ პლასტიკის გადამუშავებით მიიღება ახალი ნედლეული, საიდანაც მზადდება ქურთუკები, ხალიჩები, ანტიალერგიული ბა-

ლიშები, სპორტული ფეხსაცმელი, ხელოვნური ბალანის საფარი და ძილები. დაიცავი გარემო, ნუ გახდები დაბინძურებული გარემოსაგან დასაცავი – ეს იყო მათი ღონისძიების მთავარი დევიზი. ეს უმთავრესი გზავნილი სიმღერებითაც (მუსიკის პედაგოგი სოფიო ახობაძე) გააქვლენ, საქართველო “ანოსი და ვანოსაო”, სიმღერით თქვეს, რომ ნიჭიერი და პროგრესულად მოაზროვნე თაობა გვგვირდება, გარემოზე რომ იზრუნებს და ბუნებას რომ მოუფრთხილებს.

უამრავი კომპლიმენტი მიიღეს ბავშვებმა როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტის, ალექსანდრე თევზაძის, ისე სპეციალისტის, ელიზა ცხვირაშვილისაგან. სკოლის დირექტორი ხათუნა ფაღალაძე: “დიდი მადლობა ნინელი მასწავლებელი, რომ ამ ბავშვებს გამოუშვა ასეთი უნარი, ასწავლეთ გარემოზე ზრუნვა, ჩვენი თაობის ბევრ წარმომადგენელს შეიძლება არ ჰქონდეს მსგავსი მიდგომა. ჩემი თაობის სახელით ბოდიშსაც ვიხდით იმის გამო, რომ თქვენ გიწვევთ ამ პრობლემების აღმოფხვრაზე ზრუნვა. მჯერა, თქვენს შვილებს მართლაც სუფთა გარემოს დახვედრებთ.”

ციური ხურცილავა, სასწავლო ნაწილის გამგე: “პრობლემა ძალიან აქტუალურია, არა მარტო კოსმოსურმა სხივებმა შემოგვიტია, არამედ, გარემო და ბინძურებულია ნარჩენებისაგან, რომელიც არ იზრუნება. ნეტავი განახათ, რა ვითარებაა ბაშის პიდროლექტროსადგურთან, როცა ფარები არ მუშაობს, პლასტიკის ბოთლებითაა სახე მდინარე, ეს მხევე ტოქსიური ნივთიერებას გამოყოფს, ამას ჩვენ ვსუნთქავთ, სწორედ ამიტომაც სიმსივნური დაავადებების კატასტროფული ზრდა. სწორედ დროულია, რომ ამ პატარებმა თავიანთი ლოკალური გარემოდან დაიწყეს გარემოზე ზრუნვა. ბავშვებმა ისწავლეს ნარჩენების დახარისხება, ყოჩად ბავშვებს, რომ

მასწავლებლის და მშობლების დახმარებით ასე კარგად მოიტანეს ჩვენამდე ეს პრობლემა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ნარჩენების გადამუშავებაზე, რომ მივიღოთ მეორადი ნედლეული და ასევე მივესალმებო სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრებას გარემოს დაბინძურების გამო.”

დასუფთავების სამსახურის წარმომადგენელი გურამ ხურცილავა იხსენებს, ბავშვებმა პროექტში თანამშრომლობა რომ შეისთავაზეს, შეხვედრისას მათ კანტინებში დაურთეს, იმედოვნებდა დააკვირდა, როგორ მოექცეოდნენ ქალაქებს. ტესტი ამ ბავშვებმა მაშინაც ისევე წარმატებით ჩაატარეს, როგორც პროექტი დაასრულეს. ახლა მათ მადლობა გურამ ხურცილავამ კიდევ ერთხელ უთხრა და თან დასძინა: “დამაფიქრეთ ბავშვებო და იმიტომ კი არა, რომ კომუნალურ სამსახურში ვმუშაობ, არამედ იმიტომ, რომ თითოეული მოქალაქე თუ იქნება მოწესრიგებული, მსგავსი პრობლემები არ გვექნება. რამდენიმე წელია ვმუშაობ ამ სამსახურში და მსგავსი თანამშრომლობისათვის, ბავშვებო, თქვენ პირველად მომმართეთ. ეს სკოლა ამ თვალსაზრისით ინოვაციურია, მადლობა ქალბატონო ხათუნა და ნინელი, კომუნალურ გაერთიანებაში 90 ადამიანი მუშაობს, ჩვენს ქალაქში 15 000 ადამიანი ცხოვრობს. თუ თითოეული ადამიანი არ მიეჩვენება თავიდანვე წესრიგის დაცვას, არაფერი გვიშველის.”

ალექსანდრე თევზაძე: “ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო თემას მიეძღვნა თქვენი დღევანდელი ღონისძიება. ჩვენ ყოველივეს ცვდილობთ, დავესწოთ სკოლებში ღონისძიებებს, რადგან შეფასება მნიშვნელოვანია, თუ ვერ ვახერხებთ, მოგვიტყვი. პრობლემა, რომელიც წარმოადგინეთ, აქტუალურია არამარტო საქართველოსათვის. სწორედ ამიტომაც, არ უნდა დაანაგვიანოთ ჩვენი ღამაში სამშობლო, საქართველო.”

ელიზა ცხვირაშვილი: “ყველაფე-



რი ისე ღამაშია ამ დარბაზში, მინდა თითოეულ ნივთს ხელით შევეხო, არც მიფიქრია, თუ ამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა. ნინელი განსაკუთრებულად მომწონს თავისი სიმშვიდე, განათლებით, მიხარია, ეს პატარები ასეთ თემებზე რომ დააფიქრეთ, ასე რომ გარჯ-

ილან, ბავშვებო, თქვენ შეგიძლიათ, კორექტულად, მეგობრულად, არაგამაღიზიანებელი ტონით მიუთითოთ თანატოლებს, როგორ არ დაანაგვიანონ გარემო. მიხარია ასევე, რომ მშობლების ასეთი დიდი ჩართულობაა დღევანდელ თუ სხვა ღონისძიებებში”.

## გაღვიძი, გაღვიძი, გაღვიძი, გაღვიძი

ნათია ნაცვლიძე

მელაურის საჯარო სკოლის მეოთხე კლასში 8 მოსწავლეა, რვავე განსაკუთრებული ნიჭის მქონეა, გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობენ, შემოქმედებითი ნიჭითაც არიან დაჯილდოვებულნი. ზოგი მათგანი ფანდურზე უკრავს, ზოგიც, პრესტიჟულ ანსამბლს “იმერში” ცეკვავს. როცა სკოლაში სიმღერას ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის, “ჩა-

სხვადსხვა მუსიკალურ ინსტრუმენტს შესანიშნავად ფლობენ და ბრწყინვალედ მღერავენ, პედაგოგებსაც უძღვენს სიმღერა. ვაჟკაცებმა ხელი გაშალეს, ხან მთიულური იცეკვებს, ხანაც – ქართული, ხან – რა ჭული.

“ასე რომ გიქვებ”, “მთაში სალამურს ვაგვანებს”, “ბახტრიონიდან გიქვებ”, “ჩემი სიმღერები მთებში გაბნეულან” – ბავშვებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ეს სიმღერები, იუმორისტული სე-

რების სამომავლო სურვილები. ჩვენ ხომ მომავალი რაინდები ვიზრდებითო, გოგონებს მუხლი მოუღრღიეს და “მუხამბაზი” წაიფიქრეს ბავშვებმა. შესანიშნავად გაასცენიურეს იოსებ ნიონეშვილის უკვდავი ლექსი “ღმერთი და ხელები”. ისინი ხომ სამშობლოს პატრიოტები უნდა აღიზარდონ, ამიტომაც პედაგოგი აქედანვე უჩერგავს და აზიარებს ქვეყნის სიყვარულს.



სასწავლო ნაწილის გამგე, ნინო ტალაბაძე: “მართლაც ძველგარე დღეა, თან სევდიანი, რადგან მეოთხე კლასს ამთავრებთ, თან ბედნიერების განცდაც გაქვთ, რომ ცხოვრების ახალ საფეხურზე გადახართ. როცა კლასში 8 ბავშვია, ძალიან ძნელია, ღონისძიება მოამზადო, მაგრამ ამ ბავშვებმა მაქსიმუმ გააკეთეს, უდღესი მადლობა ნათია მასწავლებელს, მერი ტყეცაცირია არის ჩვენი სკოლის შენამენი, მან მთელი სკოლა გამოაცოცხლა, აამღერა, აახშიანა, წარმატებულად შრომობს და მოღვაწეობს. წარმატებებს ვისურვებთ პატარებო, გავხარებინოთ მშობლები, გესახელებინოთ სკოლა, მადლობა ჩვენი თემის მაჟორიტარ ლეპუტატს, ხეიან ფანცულაიას, ჩვენი სკოლის ღირსეულ აღზრდილს. მივესალმებო პატარებს, რომლებიც ჩვენი სკოლის მერხებს სექტემბრიდან მიუსხდებიან. ისინი თორმეტნი არიან”.



ნების” ხელმძღვანელი, მერი ტყეცაცირია ასწავლის, იქ ყოველთვის კარგი ღონისძიების მოლოდინი გვაქვს. ამჯერადაც, ულამაზესი სანახაობის მომსწრენი გახლდით. პედაგოგმა ნათია ქვირიამ მის მოსწავლეებს ორიგინალური დამშვიდობება მოუწყო. “ეს ოთხი წელი ცხოვრების წყაროს სათავეა, ბევრის ხიდა სინათლესა და სიბნელეს შორის გაღებულად”, გვითხრეს პატარებმა, “რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალეო”. ისინი ხომ

ჩიც წარმოადგინეს და დარბაზი გაამხიარულეს.

“ბავშვს წიენი უნდა უყვარდეს, არა ეზოში რბენაო – გვიმღერეს პატარებმა. ეს დღე მღელვარე და სევდანარევიანო, გვითხრეს ბავშვებმა, მასწავლებლებს დაემშვიდობნენ, პირველი დღე გაიხსენეს, თავიანთი ცეკვობებიც არ დავიწყნათ. იცით რას ვინატრებდით? მარადიულ მშვიდობას, უსამართლობას დაუამარცხებდით, ყველა ქართველს სამშობლოში დავაბრუნებდით – ასეთია პატა-



მელაურის თემის მაჟორიტარი ლეპუტატი, ხეიან ფანცულაია: “ეს იყო ძალიან კარგი ღონისძიება, წარმატებებს ვისურვებთ ბავშვებო, როგორც თქვენვე თქვით, უკვე ჭკუა მოგეკითხებათ, კარგია, რომ გაქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ღირსეულად დაასრულეთ ეს 4 წელიწადი, ისეთივე წარმატებით დაგესრულებინოთ საჯარო სკოლა, მერე კი, უმაღლესი სასწავლებელი. გამოადექით ამ სოფელს და საქართველოს! სასახელო ვაჟკაცები და მანდილ-



# ისეოხია, ხოვოხც ხვარინრეი დღის გზამკერუი

ნათია ნაცვლიძე

**“შენს რუკას, შენი ბრძოლების სარკეს, წყნად და გლვჯად ბედი წყუელი, ძინძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის თარგი, დაფლეთილია შენი სხეული” – ვრიგოლ აბაშიძის ეს ტკივილიანი ლექსი და ქართული პოეტური კლასიკის არაერთი მარგალიტი წარმოითქვა მეორე საჯარო სკოლის სცენაზე. “ჩვენ ესწავლობთ საქართველოს ისტორიას” – ასეთი სახელწოდებით წარმოადგინეს ისტორიის პედაგოგ ნატო ჯამბურია მოსწავლეებმა ძალზე საინტერესო, პატრიოტული ღონისძიება.**

ამ ღონისძიების მიზანი, მოსწავლეების თქმით, საქართველოს ისტორიული წარსულის ცოდნა, კარგად გახსენება, მისი არდავიწყება... ამიტომაც მოსწავლეებმა გაიხსენეს უძველესი ეპიკური ქართული მეფეებისა და იმ გმირების ცხოვრებები, ვინც თავისი სისხლით წერდა საქართველოს ისტორიას. ფარნავაზის დროიდან მოყოლებული გადმოგვცეს ჩვენი ქვეყნის წარსული, მოგვითხროს, თუ როგორ უმლაველებოდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ბერძნებს, რომაელებს, ირანელებს, არაბებს, თურქ-სელჯუკებს, მონღოლებს, ყიზილბაშებსა და ოს-

მალებს, გვიამბეს, თუ რატომ იყო ოდითგანვე ფეხს მტრის სამიხნე ეს ლამაზი ქვეყანა, რომელსაც დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. დიას, არ უდრებოდა ქართველი კაცი ისტორიულ ტაიფუნებს, ხმალიწვეტილი, ჯაჭვის პერანგის ხნავედა, თესავედა, აშენებდა ეკლესია-მონასტრებს და ციხესიმაგრეებს, სიცოცხლის ფასად იცავდა ენას, მამულს და სარწმუნოებას. სულხან-საბა ორბელიანის, თეოდორე მღვდლის, ქეთევან წამებულის, ცოტნე დადიანის, ცხრა მძა ხერხეულიძის, 300 არაგველის... ისტორიების მბობის შემდეგ ამ გმირებისადმი მიძღვნილ შოთა ნინუანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ლადო ასათიანის შესანიშნავ ლექსებსაც პვებოლდენ. გაიხსენეს ბარათაშვილის უკვდავი “ბედი ქართლისა”, კვლავ გაიფურა ტკივილიანმა შეკითხვამ: “იცი მეფეო, რომე ივერნი, იქმნებთან რუსთ ხელთ ბედნიერნი?” მოსწავლეთა თქმით, გეორგიევსკის ტრაქტატს არ მოჰყოლია დადებითი შედეგები, რუსეთი არ ცდილობდა ჩვენს დაცვას ირანისა და ოსმალეთის აგრესიისაგან, არც ლეიკანოზის ალკვითაში დაგვხმარებია, არც ომარ-ხანისა და ალა-შახმად ხანის წინააღმდეგ დაგვიდგა გვერდით, და კრწანისი იყო გოლგოთა ქართლ-კახეთისათვის! 1921 წლის 25 თებერვალს წარმოებული დამოუკიდებლობა გაიხსენეს და დიდხანს ტაბუდადებული კოლაუ ნადირაძის მიერ დაწერილი გენიალური ლექსიც წაიკითხეს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ოკუპაციას რომ უძღვნა პოეტმა. წარმოითქვეს მორის ფოცხიშვილის “ანათემა,” როგორც დაუნა



და დიდება 1989 წლის 9 აპრილის ტარიებებს!.. “რომელ ერს ჰყავს ქრისტეს ტემპირიტი სარწმუნოებისათვის თავადებული ერთდროულად ასი ათასი მოწამე? განა მრავალია ისეთი ქალაქი, ერთ დღეში 10 000 წმინდანი შეემატოს ზეციური იერუსალიმის წმინდანთა საყრბულოს? ეს მორწმუნენი სულიერი ლაშქარია საქართველოსი, ჩვენ, მათი შთამომავალნი ვართ, მათი გენის მატარებლნი, ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას და ვიაროთ ღვთის გზით”. – პირობა დადეს მოსწავლეებმა და დაგვემშვიდობნენ იმედით, რომ ლაზარესავით კვლავ აღსდგება ერთიანი, ღვთიეკურთხეული საქართველო!

ღონისძიების ბოლოს აუდიტორიას სიტყვით სკოლის დირექტორმა თეა კარტოზიამ მიმართა: “დღევანდელმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენს სკოლაში სწავლობენ ისტორიას შემოძლია ვთქვა, ნატო მასწავლებელი ჩვენს მუნიციპალიტეტში კი არა, ქვეყანამაც საუკეთესოა, ნამდვილად იმსახუ-



რებს აპლოდისმენტებს. მან ახლახან, ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით, ჩაატარა კონკურსი: “ვინ უკეთ იცის საქართველოს ისტორია”, ამ კონკურსის ფინალურ ტურში გავიდნენ ნინი კაცაძე და გვანცა ხვედელიძე, პირველი ადგილი კი მარიამ ნასარეიამ მოიპოვა და მას სკოლა საქართველოს ისტორიის ოთხტომეულით ასაჩუქრებს. წარმატებებს გონალურ ტურში გავიდნენ ნინი კაცაძე და

# “ნახანი ნახანს ისხამენ გვერდის დასახვავა”

ნათია ნაცვლიძე

**ეს მათი სამყაროა, გავრეხებული პატრიოტული ლექსებით, სიმღერებით, ცეკვით, წიგნთა წიგნის, იაკობის “დედაენის”, მასწავლებლისადმი ავლენილი სიტყვით. ამ სამყაროში გვეპატივებიან, რომ მათი ციკუნა ხელებით მორითმული ყვავილების სითბო შევიგრძნოთ, მათი სუფთა გულების ფეთქებას მივაყურადლოთ, მათი თვალებით შევხედოთ ამ, არცთუ ვაჯილსურ, უკვე დიდების სამყაროს.**



ჯადოსნურ სამყაროში, დაგვირდნენ და შეასრულეს სიტყვა პატარებმა. მართლაც შესანიშნავად, გამართულად საუბრობენ, მსჯელობენ. სწორედ ასე უმტკიცებენ სიყვარულს “რუსთაველის ენას, ილიას ენას, აკაყის ენას”... “ოდელია დელითი” შემოირბინეს მამულის მიწოდო-ველები, მათ ხომ მუდამ ასე ემღერებოდათ, იაკობის “დედაენის” პერსონაჟი, გიგოც აქ არის, სიხარმაცე რომ დაამარცხა და ანბანი შეისწავლა, ამიტომაც ახლა საინტერესო წიგნებს კითხულობს. ლექსთან და სიმღერასთან ერთად ცეკვა და რა ცეკვა სცოდნიათ ამ პატარებს! აჭარული და დაველურ-ქართული წარმოადგინეს ბავშვებმა. ქორეოგრაფიული თუ ვიკალური მონაცემებით, ნიჭიერებით დაიკვეხნინან I ბ კლასის მოსწავლეები, მათთან ერთად ცეკვავეს და მღერის მათი პედაგოგი, სოფიო ზამთარაძე. ციკუნა იას დღეობა აღნიშნეს ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილმა პატარებმა. ერთი ბიჭუნა იაკობად მოგვევლინა და გვიამბო, იის სურნელუბამ ისე დამახვია თავბრუ, ციკუნა იას პირველი ადგილი მივეუჩინე “დედაენაში”, ნაკადულიც, ნიავქარიც, მზეც; ღრუბელიც კი კოსტიუმირებულია, თამადა კი ფუტკარია. აბა ერთი გამოდით, ვინ არს ჩემისთანაო? – იძახის და ხმაურობს დათუნა. ამ ულამაზესი ბავშვების ცეკვა – ხორუმი კი მათი მეგობრების დასტურია. ბევრი სხვა ცეკვაც შეასრულეს. ია სიბრძნის სამეფო წიგნზე, “დე-

დაენაზე” გველაპარაკა, ათას საიდუმლოს მალავსო, გვითხრა. ამ საიდუმლოს ძიებაში მყოფი ძია იაკობი მათ მოძღვრავს: ბევრი წიგნი წაიკითხეთ, შეიცანით სამყარო. პატარებმა იას ვარსკვლავიც გაუხსნეს. პედაგოგმა დედების პატივსაცემადაც ექსპრომტად შეასრულა სიმღერა. ამ ემოციურ მომენტს მშობლები უცრემლვოდ ვერ შეხვდნენ.

სამივე ზემის დაესწრნენ სკოლის დირექტორი ვენერა ივანიშვილი, სასწავლო ნაწილის გამე მარინა ნადირაძე და უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მიესალმნენ პატარებს, პედაგოგებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებისათვის, პატარები სამახსოვრო სიგელებით დასაჩუქრეს და ცოდნის დიდი მწვერვალების დალაშქერა უსურვეს.



მე-3 სკოლის სამმა პირველმა კლასმა მოაწყო გამოსაშვები ზეიმი. I კლასის პედაგოგს მარეხი თევზაძეს თავისი ბავშვები გარს შემოეხვივნენ, გვიამბობენ, პატარები, თუ მარეხი მასწავლებლისა და “დედაენის” დახმარებით როგორ ამოავსეს უწინურების უფსკრული, საითთაოდ მოუფერნენ 33-ივე ასობგერას “ღამის წყვილიდან შეჭვდებული” წიგნიდან რომ შესწავლა საყვარელმა პედაგოგმა. კარგად აცნობიერებენ: “ამ წიგნს თუ არ მოუარეს, ისე ვერ იქართველებენ”. “ამომიღწეოთ თითქმის მხარში მშობლიური ასოები, სამაჩაბლო, აფხაზეთი, მოვიარეთ სასოებით” – აქედანვე ეფერებიან თავიანთ სამშობლოს, მათ დაკარგულ ტერიტორიებს, ჩვენი პატარები. როგორც თავადვე გვითხრეს ლექსად, გაიფურა დრო და ეს ბავშვებიც გაიხსენებინან. ვინ იცის, რომელი იქნება მათ შორის პატარა, აჭარულის, დავლურის, ლეზგიანის ცეცხლი დაანთეს პატარებმა, არც უცხოური ცეკვა გამოიჩინათ.

“ანი, ბანი, განი, ქართული ანბანი”... ამ ულამაზესი სიმღერის მელოდიამ შემობრძანდნენ დარბაზში I კლასის მოსწავლეები, პედაგოგ თეა კონიძის აღსაზრდელები. ფარნავაზიდან იაკობამდე მოვიყვებთ ამბებს და გამოგზაურებთ



# აქტივობებით დატვირთული დღე მეთერთმეტე სკოლაში

ნათია ნახვტივიძე

მეთერთმეტე სკოლის მეოთხე მესამე კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ თამილა კახიანიის ხელმძღვანელობით განახორციელეს მეტად საჭირო და აქტუალური პროექტი "ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება". ამ პროექტის ფარგლებში მათ კონსულტაცია გაიარეს სკოლის ექიმ მია ელიაშვილთან, ასევე, პედატირ რუსუდან ხაჯალიასთან, მოაწვეეს ლაშქრობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე ჯიხეთის მონასტერში. ფეხით გაიარეს საკმაოდ დიდი მონაკვეთი, ვიდრე ტაძრამდე მივიდოდნენ. პროექტის დასკვნითი ეტაპი კი სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობა იყო. სკოლის წინ გზა გადაიკეტა და ველობოლა მოეწყო. წვეილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და საბოლოოდ გუნდმა "მშვილდოსნებმა" გაიმარჯვა. ამ ღონისძიების ყველა კომპონენტში აქტიურად ჩაერთვნენ პედაგოგი, მანდატურები და მშობლები. მშობლები ორ გუნდად დაიყვნენ და მათ უკვე თავიანთი შვილები



გულშემატკივრობდნენ. მშობლების გუნდებს შორის გამარჯვებულია "შეკობრეები".  
კუბიკ-რუბიკის აწყობაში ყველა მსურველს შეეჯობრა ძალიან ნიჭიერი ბიჭი, მეოთხეკლასელი დათუნა შარაშენი-

ძე, მან კონკურენტები, მათ შორის სკოლის მანდატურიც დასჯა და გამარჯვება მოიპოვა. თამაშს თვალს აქტიურად ადევნებდნენ ეზოში მრავლად შეკრებილი გულშემატკივრები. სკოლის ეზოში ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის ნიჭიერი მოსწავლის, სოსო შენგელიას, ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. ღონისძიების დასასრულს ბავშვებმა ფერადი ცარციით ასფალტი მოხატეს, თემატყა მრავალფეროვანი იყო. ბოლოს ფრანები ცაში აუშვეს და მხიარულად დაასრულეს დღე. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგენა მანჯგალაძე: "მევესალმები ამ პროექტს, თამილა მასწავლებელი გვაკვირვებს მისი ორიგინალური ღონისძიებებით, ყველა მათგანი მოლოდინს აჭარბებს. მას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ბავშვები და ეხმარებიან მშობლები. ეს კლასი არის ძალიან შემოქმედებითი, შე-



სანიშნავ პრეზენტაციებს აწყობენ სხვადასხვა თემზე, აუთენტურ სერიოზულ, სილამისეულ ანალიზს, დასვენას, ეს ბავშვები პედაგოგს ბუნების გაკვეთილების დროს გეოგრაფიის კაბინეტში გაჰყავს, სადაც ისინი მათთვის მნიშვნელოვან შეკითხვებზე პასუხებს ლეზულობენ."  
მეღა ხარებავა, მშობელი: "რა თქ-

# ენა დღამ, "დღაენამ" უნდა ამოკადებუინოს!

მერე რა, რომ კლასში თორმეტი არიან და ცეკვის დროს გოგონებს კავალური არ ჰყოფნით. მაინც ახერხებენ ცეკვას, მერე რა, რომ ცოტანი არიან, მათ ნათქვამ სიტყვას დამაჯერებლობა არ აკლია, მათ ცეკვა-სიმღერას – ცეცხლი, ლექსს – მარილი. ისინი მოტივირებული და თავდაჯერებული არიან. ანბანი გააცილებს და გამოშვების ზეიმზე მიგვიპატიყვს მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ვინ იცის, წლების მერე ამ გაზეთის რამხელა სიამაყით გადაშლიან უკვე ცნობილი ადამიანები. ამ სკოლას ხომ არაერთი ღონისძიება აღუწრდა, ამიტომაც, მოლოდინი კვლავ დიდია! ბევრი საგულისხმო რამ გვითხრეს პატარებმა. ეამაყებთ, რომ მათი სამშობლო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სურთ, იგი ერთიანი და ძლიერი იხილონ, დაფანტული ქართველები კი ქვეყანას დაუბრუნდნენ.  
მოსწავლეები ქართული ენის პედაგოგმა ეკა ლორიაძემ მოამზადა, დანარჩენ საგნებს მათ სირინოზ კლარჯიშვილი ასწავლის, ინგლისურ ენას კი, ელისო სტურუა. უამრავი სახობო სიტყვა უთხრეს "დღაენას", ამ წიგნს ჯადოსნურ სამყაროში გადავყავართ და საინტერესო ამბებს გვიქარგავსო, ხოლბა შეასხეს ქართულ ენას, სამშობლოს, მასწავლებელს, დედას... უამრავი ლამაზი მელიდია ააფერეს, "ო ენავ ჩემო", "საქართველო", "მასხოვს პირველად"... ამ ულამაზესი მელიდებით ემოციურბა შეჰმატეს ზეიმს. სიმღერების და ცეკვების შემდეგ გვითხრეს, ზაფხული და სოფელი გვიხმობსო. სოფელსაც უმღერეს და ბებოვსაც. მოსწავლეებს მიულოცა სწავლის დასრულება და წარმატებები უსურვა პედაგოგმა სირინოზ კლარჯიშვილმა. საინტერესო და ლამაზი ღონისძიება დირექტორმა მარინა გოგიშვილმა შეაფასა. ქალბატონი მარინა ბებოის სტატუსითაც ესწრებოდა ღონისძიებას. მარინა გოგიშვილი: " გილოცავთ პატარებო პირველი კლასის დასრულებას, წინსვლას და სიხარულს ვისურვებთ, თქვენ გააცილეთ ქართული ანბანი უმშვენიერესი ღონისძიებით. გისურვებთ, თქვენი საგალი გზები ბედნიერი იყოს, გახდით კარგი ადამიანები, იყითხეთ ბევრი, ისწავლეთ კარგად და გამოადექით არა მარტო საკუთარ თავს და ოჯახს, არამედ, ქვეყანას!"

ნათია ნახვტივიძე



# სამუოზლოს მიწეწიანს მიზნული ზეწილი და ყვეწილი

თბა ბაგუნაშვილი

სანამ "ლილეო" გახდებოდა, ერთი ჩვეულებრივი შენობა იყო. მას შემდეგ, რაც კერძო საბავშვო ბაღი გაიხსნა, ამ სახლში მზე ბინადრობს, ფერადი თენდება დილა. ამ დღესაც ფრიალებს იავისო ეწო, ოთახი, მ-

ისი აკისციდა და ღიმილად დაიღებრა. ყვავილებზე აფარფატებული მეპლებივით შემოცქრიადილდნენ თვალხატულები ლაფეარდისფერ დარბაზში, რომელიც საგანგებოდ მორთული სულაც არ ვახლდათ, აქ ყოველითვის ასეა, სასიამოვნო ვარემო, ნაირფერადი და მხიარული. ფორტები-

ანოს ჰანგებს აჰყენენ, უფრო სწორად, კლაფიშები აჰყენენ ჰანგებად გოგოებსა და ბიჭებს, ლამაზებს, ციცქნებს, საყვარლებს!  
მერაბ მერაბაშვილის მიუხედი "პეპლები და ყვავილები", ალბათ, სწორედ მათთვის შეჰქმნა ავტორმა, რადგან ძალიან, ძალიან ჰგავდნენ სამშობლოს მწ-

ვანე მინდორს მიხეულებს და მის მდელოებს მოღებულ აბრიალებულ ყვავილებს.  
მუსიკის პედაგოგ სოფო გურგენიძის ძალისხმევით ამღერებულები რითმებს ცეკვით ჰყვებოდნენ კაღაც.  
პატარებს სირთულეების დაძლევაში, ბუნებრივია, მასწავლებლები ეხმარებოდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც უკვე ეთხოვება საბავშვო ბაღს და სკოლის კარს შეაღებს პირველი კლასისთვის სათანადოდ მომზადებული. მერხებთან შესახვედრად განსაკუთრებულად მოამზადეს ისინი აქაურმა პედაგოგებმა.  
კერძო საბავშვო ბაღის სასიამოვნო გარემო დადებითად მოქმედებდა არა მხოლოდ პატარა აღსაზრდელებზე, აქ მათი მშობლებიც საუკეთესოდ გრძობენ თავს საკუთარი შვილების ღონისძიებებზე მისულები. უცხო ენისა და სხვა შესაბამისი მეცადინეობები ბავშვებს ჯეროვან სკოლამდე განათლებას აძლევს. მოწესრიგებულია კვებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საკითხი. ბაღის დირექტორი თეონა ჩანქსელიანი საკუთარი კოლეგების წვლილზე საუბრობდა: "ამ პატარა გოგო-ბიჭებს რომ უყურებთ, ჩვენ ჩვეულებრივ დღეებს გვილამაზებენ, მათ მშობლებს მთელ ცხო-

ვრებას. ყველაფერს ვაკეთებთ, ისე აღვზარდით ისინი, ზვალ ჩვენი და მთელი ქვეყნის იმედად რომ იქცნენ. ძალისხმევას არ ვიშურებთ ამისთვის. მაღლობა ჩემს კოლეგებს, მათ მშობლებს. რომ არა ჩვენი ერთობლივი მუშაობა, მარტო ვერაფერს გავხდებოდი."  
მუსიკის პედაგოგ სოფო გურგენიძე ამბობდა, რომ "განაფხულს დავუკავშირეთ ამ მიუხეცილის დადგმა. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, ალღო ადვილად აუღეს ბავშვებმა. ცოტა მწელია ამ ასაკის აღსაზრდელებთან მუშაობა, ეს ადვილი გასაგებია მათთვის, ვისაც ამ ასაკის ბავშვებთან აქვთ საქმე, მაგრამ როგორ უნდა დაიღლო ამ ცუგრემულებთან მუშაობით, მათი სიყვარული ყველა სიძნელეს დაგაძლევინებს. ჩვენც კვცადეთ და, ვფიქრობ, შედეგი ნამდვილად კარგია."  
ისევე როგორც საოცრებათა სამყაროში, დიდი მხიარულება იდგა "ლილეოს" ფერად დარბაზში. მზე იცინოდა ერთად თავმოყრილი პატარების თვალებში. იმედად იღვრებოდა გულწრფელობით გაჯერებული სიყვარული და პეპლებით ფარფატები ჰყვებოდნენ ბავშვები სამშობლოს და დედას სიყვარულის ზღაპარს.



# “იბეღია, სამტრედიას იმ ჩივირნათვის ვასახელები”

ნათია ნაცვლიძე

**2 ივნისს საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში “ინტელექტის დღე 2018 გაიმართა.” ინტელექტუალური თამაში “რა? სად? როდის?” ფორმატით სასკოლო შეჯიბრი ერთდროულად ჩატარდა საქართველოს 11 მუნიციპალიტეტსა და თბილისის 10 რაიონში. სამტრედია, რამდენიმე წელია, წარმატებულად მონაწილეობს ამ პროექტში. წლებად ჩემპიონატს მესამე საჯარო სკოლამ უმასპინძლა და ნიჭის, ინტელექტის და ბიუს ფორტუნის წყალობით, გამარჯვებაც ამავე სკოლის გუნდმა მოიპოვა. პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება და მათი თვითრეალიზაციისათვის ხელის შეწყობა. ჩემპიონატის ორგანიზატორები არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ინტელექტუალები “რა? სად? როდის?”**


2 ივნისს შეჯიბრში სამტრედიის თორმეტი სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა, ესენია: მართლმადიდებლური სკოლა, სკოლა “ცოდნა”, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე, მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეორის საჯარო სკოლები. გამარჯვებული გუნდის ყველა წევრს სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელმა თინა ხარდიანმა გამარჯვება მიულოცა და წიგნებით დაასაჩუქრა. შეხვედრის წამყვანი გიგა გაბრიჭიძე გახლდათ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე: “მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნიერების დონის ამაღლებას, ნიჭიერი მოსწავლეების წარმოჩენას, ამიტომ საგანმანათლებლო რესურსცენტრი ყოველთვის შეუწყობს ხელს მსგავს ღონისძიებებს.

ბს. მადლობა მესამე სკოლას, რომ დაუთმო სივრცე ამ ღონისძიებას, მინდა მივულოცო მას გამარჯვება და უუსუროვო წარმატება ფინალურ ტურში, რომელიც ოქტომბერში საქართველოს დედაქალაქში გაიმართება.”

სამტრედიის ინტელექტუალების წარმომადგენელი და მერიის თანამშრომელი ლაშა ლორია “ინტელექტუალების” წევრ ლევან ცირეკიძესთან და დავით გახვიასთან ერთად ვიზუალურ შედეგებში იყო. ლაშა ლორია: “მართლაც დამაბული ჩემპიონატი იყო, ბოლო კითხვამ გამოავლინა გამარჯვებული, მესამე საჯარო სკოლის გუნდი სტაბილურად ძლიერი მოთამაშეებითა და დამატებითი უნარებით გამოირჩევიდა. სამტრედიის სასკოლო ლიგების გამორჩეული მოთამაშე გიორგი ზამთარაძე, დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებით სამტრედიის ინტელექტუალები, რომელიც თავის მხრივ, ორი გუნდითა წარმოდგენილი, ღირსეულ შეჯიბრს მიიღებს”.

ვეწერა ივანეშვილი, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი: “დარეგისტრირებული ვიყავით ჩემპიონატში, დიდი საიმედოობით ვუმასპინძლეთ მას სკოლაში. ესეც იყო ერთ-ერთი სტიმული, რა თქმა უნდა, დავესწარი, შესანიშნავი თამაში იყო, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური ორთაბრძოლა გაიმართა, 25 კითხვის შემდეგ რეიტინგი რომ გამოვლინდა, მესამე და პირველ სკოლებს თანაბარი ქულები ქონდათ. მომდევნო 5 კითხვაც დაისვა, ერთმა შეკითხვამ გადაწყვიტა თამაშის ბედი, არც დამატებითი ტური დაგვჭირდა და აღარც გიორგი



# გულთბილი უხვედრა, გულწრფელი მადლობა

საყოველთაოდაა ცნობილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფრენბურთულ ქალთა გუნდ “ჯიგოს” მიღწევები. ეროვნულ ჩემპიონატში ათგზის ოქროს, რვაჯერ ვერცხლის, ორჯერ ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ორგზის ევროპის ჩემპიონთა გათამაშების მონაწილე, ორჯერ სომხეთის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, სამჯერ და სამედალად საქართველოს პირველი ლედი თანის მფლობელი, 2002 წლიდან საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მოთამაშეებით შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო... ეს გახლავთ “ჯიგოს” მიღწევების არასრული ჩამონათვალი.

გუნდის მიღწევებში ლომის წილი აქვს ბატონ ნუგზარ მიქაძეს, რომელიც ლამის ნახევარი საუკუნეა საყვარელ საქმეს მუხლჩაუდგამად ემსახურება. ქართული ფრენბურთის აღორძინებაში შეტანილი წვლილისთვის მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაის საპატიო წოდება.

ადგილობრივი, ცენტრალური თუ საერთაშორისო მედია ხშირად აშუქებს სამტრედიელ კარატისტთა წარმატებებს, რომელთაც ხელმძღვანელობს საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, შავი ქამრის IV დანის მფლობელი, სენსი მიხეილ ქანთარია.

სწორედ ეს თვალსაჩინო წარმატებები და დამსახურებები გაითვალისწინეს

საზოგადოება “სამტრედიელის” გამგეობის წევრებმა, როცა გადაწყვიტეს, შეხვედრა მიეწყოთ გუნდ “ჯიგოს” ხელმძღვანელებისა და კარატეს კლუბის თავკაცისათვის.

შეხვედრა გახსნა და შეკრებილი საზოგადოება “სამტრედიელის” გამგეობის სახელით მიესალმა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი მოგელი კუპრეიშვილი. კეთილი სურვილები არ დაიშურა შეკრებილთა მისამართით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ.

“ჯიგოს” მიღწევებსა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა ბატონმა კობა მანჯგალაძემ.

სამტრედიელ კარატისტთა მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში ბატონმა მიხეილ ქანთარიამ. შეკრებილი მიესალმნენ და გაწეული ღვაწლისათვის მადლობა მოახსენეს ბატონებმა: ვია ბოჭორიშვილმა, სოსო ახობაქემ, ზანა ნიკოლეიშვილმა, თემურ ტორიჯაძემ, რეზან კანდელაკმა, რაულ ხუჭუამ და “სამტრედიელის” გამგეობის სხვა წევრებმა.

შეხვედრა, რომელიც გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, ესრუბოდნენ დეკანოზი იოანე (კობრიძე) და დეკანოზი რომანოზი (ნინუა).



საზოგადოება  
“სამტრედიელის” გამგეობა



# მასწავლებელი გარდაიცვალა, ღირსების ყველაზე მითითლარი ნერვი!

## თმა გაზუნაშვილი

მე ახლა მოსწავლე ვარ, მეექვსე-მეშვიდეკლასელი. მალე ზარი დაირეკება და ისტორიის გაკვეთილი დაიწყება. კლასში თხელი, კაფანდარა ქალი შემოვა, მისი გარეგნობისთვის გასაოცარი სიმტკიცით, სიძაგრიტაც კი. მოგვესალმება – აუცილებლად ასე, “სალამო!” მერე შინდისფერყვანად ჩურჩაღს ჩახედავს და ... ისტორია ვიცი! მაგრამ მაინც გამალებით ძგერს გული. სიაში მესამე ვარ... ვერ ავცდი, გამომიძახა. მოვეყვი. “კუბში აყვანილი ზარმაცი ხარ ბაბუნაშვილი!” – მაინც არ მოეწონა. არადა, ნიშანმა გამახარა! – ახლა ამ სიტყვებით საკუთარ შეიღობს მიემართავ ხშირად და ყოველ ჯერზე მასწავლებელა ვერუშა მასწავლებელი, ჩემს ვაჟსაც რომ ასწავლიდა რამდენიმე წელი. მისი გარდაცვალება გავაგებინე უკვე მეორე კურსის სტუდენტს და... ძალიან შეწუხდა, მაგრამ ცოტა გაუკვირდა ჩემი ცრემლნარევი ხმა. ჩემს ასაკში რომ იქნები, შენც იტირებ-თქო, შენი მასწავლებლის გარდაცვალებისას. იქნებ არაფერ შუაშია ასაკი, იქნებ კი არადა, ასეა, არაფერ შუაშია ასაკი, როცა მასწავლებელი მიდის, ღიმილით გამობარბა ბავშვობის მერხებს შერჩენილი მონატრება.

ჩემი, ჩვენი ვერუშა მასწავლებელი წასულა, ჩემდ გაუხურავს ამქვეყნიური კარი ბობოქარ ქალბატონს, ყველა იმ ადამიანის საყრდენს, ვისაც შეხება ჰქონია მასთან. უღალატო ვერუშა მასწავლებელი წასულა, უღალატო მეგობართან, ოჯახთან, საკუთარ საგანთან და სკოლასთან, სკოლასთან, რომელსაც 60 წლით შეაბერდა. ამიერკავკასიის რეინიგზის №24-ე გახლდათ ჩვენი სკოლა. მეამაყებოდა სასკოლო რეველუცია, “ტეტრა-ად” რომ ეწერა ისეთი, რომ წავაჩერდი ამ დასახელებას. ამ სკოლის ბურჯი და ქვეყნობის გახლდათ ვერუშა ვამაკიძე, სუსტი მხრებით ატარებდა ყველა სირთულეს. ბუნებრივია, მთელ პედაგოგულეტივით ერთად, მაგრამ მისი დამსახურება დროის წილი იყო დიდ სკოლის დიდ წარმატებებში. დრო შეიცვალა და “ამიერკავკასიის რეინიგზის” წარსულში დარჩა. მერე მოუღვე დაერქვა სამტრედიის №11-ე საჯარო. ვერუშა მასწავლებლის წილი კვლავ განუზომელი გახლდათ, ვერც მომატებული წლები ატყობდა ხელს მის შემართებას. იგი კვლავ საჭირო, და ბოლომდე საჭირო იყო თანამედროვეობას ფესვსწობილი სკოლისთვის!

პირველი სექტემბერი მაგონდება, თერთად დანითული შავი ან ლურჯი კაბის ჩაცმა უყვარდა ვერუშა მასწავლებელს. მაღალ ქუსლზე იდგა. სკოლაში დედა მიმყვა. დაინახა და... არ ბერდება, ისევე ისეთია, როგორც ჩემი მოსწავლეობისას. დღეს ადარც დედაჩემია და ამ მოგონებამ ისევე ამაკრემლა.

მეგარება ვერუშა მასწავლებელი, იმაზე მეტად მეგარება, ვიდრე მეგონა.

ვიცი, ყველა სხვა მასწავლებელზეც ასე ვიტყვი, ბევრი ადარ არის, ვინც არის და... დიდხანს უნდა იყვნენ, უნდა მავდნენ ჩემი ბავშვობის ტკბილ მოგონებებში! მთელი ქალაქი დარდობდა იმ დღეს, დარდობდა ყველა დროის სამტრედია, ბევრი იცრემლებოდა, სხვები იხსენებდნენ, ეგ რომელი, ასე და ასე რომ იყო?!” გული მეტკინა, კარგი ადამიანი ყოფილა გავგივილო, დასძენდნენ. საკუთარი ქალაქის სევედა გაკვეთა ვერუშა მასწავლებელს, იმდენად დიდი სიყვარული გაკვეთა, რომ აქ დასარჩუნდაც კმარა და იმეორშიც გაუნათებს გზას.

მის სკოლაში, მე-11 საჯაროში მართლა იდგა გლოვის ზარი. მოსწავლეებით ავსებული ეზო უჩვეულოდ დუმდა. წუთიერი დუმილი მაღლიერებამ დაარღვია, ამ სკოლის, მასწავლებლების, მოსწავლეების მაღლიერებამ. გლოვობდა იმ დღეს ეს ლაგვარდისფერი ნავთსაყუდელი. უკვე მასწავლებლები, მისი კოლეგები გამხდარან ყოფილი მოსწავლეები და ერთმანეთს ეცილებოდნენ იმ გრძობების გამოხატვაში, ერთი სახელი – ვერუშა მასწავლებელი რომ ერქვა. იქვე იყვნენ მისი ის ყოფილი მოსწავლეები, საკუთარი სიტყვა რომ თქვეს სამტრედიის ყოველდღიურობაში. და კიდევ ბევრს, ქვეყანა, შშობლიური სკოლა და ქალაქი რომ ასახელეს, ცრემლი იქ ერეოდათ, სადაც გაიგეს საყვარელი მასწავლებლის გარდაცვალება.

საკუთარ მოსწავლეობას იხსენებდა და მისი კლასის ყოფილ დამრიგებელზე უდიდესი სითბოთი საუბრობდა მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი ლენა ხაგალია, აღნიშნავდა: “სკოლის ბურჯი ვერუშა მასწავლებელი ადარ არის, ადამიანი, რომელიც ყველას გვკვირდებოდა, ადამიანობის ჭაბანს რომ ღირსეულად ეწეოდა. დააკლდა ქალაქს და დააკლდა ჩვენს სკოლას.” – ცრემლმა ხმა გაუზნარა მას. ემოციებს ძნელად მალავდნენ და განსაკუთრებით ლუდა სტურა, სკოლის ეზოს ეფინებოდა მისი სიტყვები: “არ ვიცი სად ხარ ვერა “ერასტონა”, მაგრამ ვიცი, რომ მისმენ! ახლაც მკონია, სადაც აქ ხარ, მოსწავლეებში გაბნეული და უცებ გამოჩნდები. რა დამავიწყებს, სულ ახალგაზრდას ხელი რომ მომხვიე და სამასწავლებლოში შემიყვანე, რა სითბო გამატანე პირველ გაკვეთილზე. ახლაც ვგრძნობ, იმ მიხვეული ხელის სითბოს. ყველა წამავალი ვართ ამ ქვეყნიდან, მაგრამ ყველას როდი გვრჩება ისეთი კვალი, შენ რომ დატოვე სამტრედიისში. ვიცი, ბოლო წუთებში შენი სამტრედია, შენი სკოლა, შენი სახლკარი, შენი მოსწავლეები გენატრებოდა. მოვალთ და ამ სკოლიდან შენი მონატრების სითბოს წამოვიღებთ, ერთ მუჭ მიწას წამოვიღებთ ამ ეზოდან და თავსასთუმაღში დაგიდებთ. შენ მუდამ იქნები ვერუშა მასწავლებელი, ვერუშა დედა, ვერუშა ბებია!”

იქ ბევრნი იყვნენ მოგონებებით, მონატრებით. ვერუშა მასწავლებელთან და-

კავშირებული საკუთარი მოსწავლეობა გაიხსენა დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა თინათო ხარშიანმა.

ღვანულად მოსილ პედაგოგს პატივი მუნიციპალიტეტის მერიამ და მერმა ვალერი ფოცხვერიამ მიაგო, რომელმაც მუნიციპალიტეტის წინაშე მის დამსახურებებზე ისაუბრა. “გარდა კარგი მუშაისა, შესანიშნავი ნათესავი და ადამიანი იყო.” – იხსენებდა საკრებულოს წევრი ლიზა კრავიშვილი.



იმ დღით დროის აღმართვის ტრადიცია დაირღვა მე-11 საჯარო სკოლაში. და ბოლოს... ხანგრძლივ ზარს ტაში მოკვეთა მაღლობად, პატივისცემად, სიყვარულად და კიდევ იმ გრძობად, სხვა სახელი რომ არ აქვს და მხოლოდ ვერუშა მასწავლებელი ჰქვია!

სკოლიდან საპატიოდ გააცივლეს. მასთან ერთად კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი მე-11 საჯარო სკოლისა, აზა სულავე. ქიმიის შეუღარებელი პედაგოგი. მთელი კოლექტივი ხარობდა იმ დღეს. სამახსოვროდ დარჩა ეს ფოტოსურათი. უკვე ადარც აზა და არც ვერუშა მასწავ-

ლებელია! ვერაფერს ვიტყვი იმაზე ლამაზად, იმაზე უფრო დიდი გრძობით, ვიდრე მაია ლორია წერს. კიდევ ერთხელ ამატირა მისმა სიტყვებმა. ჰოდა, ფეხზე წამოდექით, ფეხზე წამოდექით, ვერუშა მასწავლებელი გარდაიცვალა!

## უბის წიგნაკიდან

\*\*\*  
პაწია ნისკარტწვერამა  
კალამმა ჩემმა, კალამმა,  
და განა ბევრი მაწვალა!  
მოვიდა კოდალასავით,  
ლექსჭია ამომაცალა...  
\*\*\*  
თვალეები კი არ გამწითლებია,  
ნაკვერცხლებია ეს დამწვარ დღეთა,  
მერე ფერფლი რომ სიხმრებად  
რჩება თვალეებში ბოლოს...  
\*\*\*  
დამეგაბზარულ ცის დანგანზე  
მზესა ავდრებს ვალესინებ,  
აქ ჩემი ზაფხულის ბაღებშია,  
მოდი და ლექსებს გამწყმსინებ...

\*\*\*  
ველარ გიპოვე ვერც შენს თვალეებში,  
ვერც შენს ტუჩებზე ველარ გიპოვე,  
ისე გასულა მატარებელი  
გამორება ქუჩებს, მოედნებს,  
შენ აპრილში ჩამოსულხარ და ვერ მოგიწარი,  
მე დეკემბერში ჩამოვედი და  
ველარ მოგებნე...  
\*\*\*  
ჭიშკრის ბოგიდან პატარა დელემ  
ვაგონებივით გაწვლა ტანი,  
მე გავაკეთე რვეულისგან ქაღალდის ნავი,  
მინდა ჩავჯდე და ჩემს ბავშვობას  
გამოვედენო...

\*\*\*  
დღეაჩემს პატარობისას რომ არ დავუკვერე,  
მამისთვის რომ არ გაემხილა,  
დანაშაული მან თავისი ღიმილის კუთხეში დამიმალა...  
\*\*\*  
ისე დადის მოხუცი ისე,  
თითქოსდა დედას უკავია პატარა ჯერაც,  
და ასწავლიდეს სიარულს ისე.  
\*\*\*  
ნორჩი წვიმები შემოვიდა  
ქარის ჭოჭინით,  
ალბათ, მათში ფეხს აიდაგმს  
უკვე ნელ-ნელა...



### კოლეგები ვერუშა მასწავლებლები

ჩემთვის ძალიან რთული წარსულში ვისაუბრო ადამიანზე, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული და წარუშლელი კვალი დატოვა – ვერუშა მასწავლებელი, ჩემი დიდი ტკივილი და დანაკარგი...

მე მას სამართლიანად ვუწოდებ ჩვენი სკოლის ბურჯს, ძლიერ ქვაკუთხედს... ფასდაუდებელია მისი მრავალწლიანი, თავდაუზოგავი შრომა, ნაყოფიერი მოღვაწეობა, ორგანიზაციული ნიჭი, სასწავლო-კლასგარეშე ღონისძიებები, რომლებმაც ჩვენს სკოლას მრავალჯერ მოუტანა გამარჯვება და იმთავითვე გახდა რაიონის ერთ-ერთ წარმატებულ სკოლად. სკოლას ვერუშა მასწავლებლის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მან მასში უშურველად ჩადო მთელი თავისი გული, სული და ენერგია, ძალა, შესაძლებლობები და მრავალი ღირსეული თაობა გააცვალა და აღუზარდა სამშობლოს.

ამაყი ვარ, რომ ვერუშა მასწავლებლის აღზრდილი მქვია. მასწავლებელია მისი გულით, გასაგებად ახსნილი გაკვეთილები... მკაცრი ტონი, მაგრამ ამ სიმკაცრის მიღმა, ყოველთვის ვგრძნობდი, თუ როგორი სამართლიანი, გულისხმიერი და მოსიყვარულე იყო ვერუშა მასწავლებელი...

ჩემში ყოველთვის აღტაცებას იწვევდა, თუ როგორი პატივისცემით ხვდებოდნენ წლების შემდეგ ვერუშა მასწავლებელს თავისი მადლიერი აღზრდილები... როგორ ეფერებოდნენ, გულში ივრავდნენ. მადლობა ღმერთს, ბევრჯერ მინახავს ვერუშა მასწავლებელი ამ ემოციით ძალიან ამაყი და ბედნიერი. იგი ამ გრძობით საზრდოობდა განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში. დიან, იგი უყვარდათ, მას პატივს სცემდნენ, მისი კრიტიკით, მის სიტყვას ფასი ჰქონდა... და, რას წარმოვიდგენდი მე, ჯერ კიდევ მოსწავლე, რომ წლები გავიდოდა, მე ჩემს მშობლიურ სკოლაში დავეწყებდი მასწავლებლად მუშაობას და სწორედ “ასეთი” ვერუშა მასწავლებელი გახდებოდა ჩემი კოლეგა, შემდეგ მეგობარი და შემდეგ... ჩემი დედობილი... ჩემდა საამაყოდ, ვერუშა მასწავლებელმა მე შვილობილი მიწოდა... საოცრად მიყვარდა ერთმანეთს... რამდენჯერ გამათბეთ ვერუშა მასწავლებელი თქვენი თბილი გულით, როგორ ჩამიხუტეთ ერთგულ გულში თქვენი სუსტი, მაგრამ ძალიან ძლიერი ძვლებით და როგორი სიყვარული და მზრუნველობა მაჩუქეთ...

თქვენს პიროვნულ ღირებულებებს ბევრჯერ გავუოცებდვარ... თქვენ მე თამამად გიწოდებთ ჩემი სკოლისა და ცხოვრების გმირს... მინდა, ჩემს თავს ვუსურვო, ისე ღირსეულად და ისეთი ღირსეებით ვიცხოვრო ცხოვრების ბოლომდე, როგორც თქვენ იცხოვრეთ ვერუშა მასწავლებელი... არასოდეს დაგვიწყებთ ჩემი ღვაწლმოსილი, ამაგდარი, ვალმობილი, ძვირფასი ვერუშა მასწავლებელი... ჩვენი სიყვარული სიკვდილზე ძლიერია და თქვენ არასდროს “წახვალთ” ჩემი ცხოვრებიდან.

**მანა სანაძე**

#### მალაზონი, რომელიც დააკლდა მალაზს!

დღეს ჩვენს სკოლაში გლოვის ზარმა ჩამოკრა, გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი ვერუშა მასწავლებელი.

პედაგოგის ღვაწლი ფასდაუდებელია. ასეთი პატივისცემით განვლო ვერუშა ვამაკიძემ თავისი მოღვაწეობის 60 წელი.

სრულიად ახალგაზრდად დაიწყო მუშაობა კომპაგშირის რაიონში და დაამთავრა №11 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობით. ღვაწლმოსილ პედაგოგს ღირსეული გაცილებაც მოუწევდა ჩვენი სკოლის დირექტორის, ქალბატონი ლენა ხაჭალიას ინიციატივით, რითაც დიდად ამაყობდა.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები დაკავშირებულია ვერუშა მასწავლებელთან. ის იყო ჯერ ჩემი მასწავლებელი, მერე – ჩემი შვილების, ბოლო 30 წელი კი კოლეგები გახდნენ.

სუსტი, სიფრთხილი, გასაცარი ტაქტის მქონე, უპირველესად, იყო შესანიშნავი პიროვნება, კარგი ორგანიზატორი, საუკეთესო მეგობარი, ყველას ჭირისა და ღვინის გამზიარებელი, სანიმუშო მუშა, დედა და ბები.

გული მტკიავს, ჯერ კიდევ მგონია, რომ ვერუშა მასწავლებელი ჩვენ შორისაა, მაგრამ ცხოვრებას თავისი წესი აქვს, იმიერში გადასახლება გარდაუვალია და ამიერიდან ჩვენი საყვარელი ვერუშა მასწავლებელი მხოლოდ მოგონებებში იარსებებს.

**ცინიო უსანთიძე**

ვერუშა! – სახელდებული ლეგენდისთვის,

სამტრედიელთათვის მისაბამი,

რჩეული – ჩინებულთა შორის!

ზეციურ მატანეში კეთილ ნაყოფად დაუნჯებული!

არის კი ვინმე, ვისაც ქალბატონ ვერუშას სხივი არ მოჰყვინდის?! ამ ლეგენდარული სახელის ჩრდილქვეშ ჩვენც სხვაგვარი ვხანდით... როგორ მიგრძნო გულმა – გოდერძი ჩოხელის საფლავის გვერდით “მასწავლებლის” საფლავის ქვა რომ აღმოვაჩინე – ფრიად საგულისხმოდ მენიშნა!

დიან, ბატონებო! მწერალი და მასწავლებელი გადაინახავს ერის მარადიული ყოფნის საიდუმლოს.

ფეხზე წამოდექით!

მასწავლებელი გარდაიცვალა, დირსების ყველაზე მითითლარე წერვი!

**მანა სანაძე**



ვერუშა მასწავლებელი – ამ სიტყვებთან ჩემთვის არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ჩემი უსაყვარლესი სკოლა და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი ასოცირდება. პატარა, შეუპოვარი, ენაბიძვილი და ენერგიული ქალი, რომელიც თავისი პერიოდის ასევე კოლორიტულ და პატივსაცემ ცაცა ქაქინაძესა და ვალერიანე ჭიჭიშკასთან, ამასთანავე, უძლიერეს პედოლოგებთან ერთად, ქმნიდა ძალიან საინტერესო ისტორიას სკოლისა, რომელსაც თავდაპირველად მერე საშუალო, შემდეგ ამიერკავკასიის რეინიგზის 24-ე, ხოლო ამჯერად, მე-11 საჯარო სკოლა ჰქვია. ახლაც თვალწინ მიდგას ოთახი, სადაც მუშაობდა და საიდანაც ხელისუფლებამ ჩანდა თითქმის მთელი სკოლა. ამ ოთახის დიდი ფანჯრებიდან არ ეპარებოდა მოსწავლეების არც ერთი ნაბიჯი. უთანხმოებისას იმწამსვე სკოლის ეზოში განდებოდა და ყველაფერი წესრიგდებოდა. მეექვსე კლასში ეს ქალბატონი ჩვენი კლასის ისტორიის მასწავლებელი გახდა. მისი ენერგიული და სწრაფი ნაბიჯები, რუკით ხელში საკლასო ოთახში შემოსვლა და... 45 წუთიანი გაკვეთილი, რომელზეც მაქსიმალურად იხარჯებოდა, 5 წუთის სისწრაფით გადიოდა. არაფერს ახსოვს მისი გაცდენილი საათი. უძლიერესი ორგანიზატორი, ქალი, რომელიც რეინის ნებისყოფით უძღვებოდა რაიონში ყველაზე დიდ და ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის 800-ზე მეტ მოსწავლესა და 80-მდე პედაგოგს. 1998 წელს დიდსულოვნად დამითმო საუკეთესო საგაკვეთილო საათების ნაწილი და ჩემს მშობლიურ სკოლაში სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების პედაგოგი გახდით. აქედან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა, უკვე კოლეგებიც ვიყავით. ამდენი წლის შემდეგ კვლავ ენერგიულად და ჩვეული შეუპოვრობით ემსახურებოდა სკოლას, რომლის ყველა მოსწავლე ასსოვდა სახელითა და გვარით, სწავლის პერიოდით, აკადემიური მოსწრებით.

სამაგალითო მუშაობა, 60 წელი რომ ემსახურა თავის სათაფანებელ სკოლას, ბევრჯერ მოუყოლია ჩემთვის, არაერთხელ შემომთავაზეს დაწინაურება და სხვა სკოლების დირექტორობა, მაგრამ ამ სკოლის იქით ჩემთვის წარმოუდგენელია სხვაგან მუშაობა. სამტრედიის გარეთაც ბევრს უთქვამს, ვერუშა ვამაკიძე გამორჩეულად ნიჭიერი ქალია სამტრედიისში. მან მშობლიურ სკოლას ბევრი კარგად მომზადებული კადრი აღუზარდა. ქალბატონი ლენა ხაჭალიაც, სკოლის დირექტორი მისი მოსწავლე გახლდათ.

ვერუშა მასწავლებლის გარდაცვალებით ერთი დიდი ეპოქა დასრულდა ჩემი სკოლის ისტორიაში.

**მანა სანაძე**

დღეს გარდაიცვალა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადამიანი, ვერუშა მასწავლებელი. მართალია, 2 წელი გვასწავლიდა, თუმცა ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენ მის მიმართ სიბოძო და სიყვარული გამოგვეხატა. არასდროს დამავიწყდება “სალამით” მისი შემოსვლა კლასში, საუკეთესოდ ახსნილი გაკვეთილები და ის სიტყვები, რომლითაც სიბოძოს გამოხატავდა ჩვენ მიმართ. მეცხრე მერე კლასს არასდროს დაავიწყდება ასეთი ვერუშა მასწავლებელი. დმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**კლემენტინე**

**მანა სანაძე**

### ზაირა ყაჭიშვილის ბასსენება

საყვარელი ზაირა მასწავლებელი, ჩვენო უფროსო მეგობარი, 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ამ დროის განმავლობაში გიხსენებთ, გეფერებთ და გესაუბრებთ. დღევანდელი გახსენების ფორმაც შენთან საუბარი ვარჩიეთ. მარადიულ ახალგაზრდად დარჩები ჩვენს მეხსიერებაში. კეთილი იყავი, გულისხმიერი, მოკრძალებული და მიმტევებელი. ეს თვისებები იყო შენი ზნეობრივად გამართლებული ცხოვრების საიდუმლო. გარდასახვის საოცარი უნარისა და სხარტი გურული იუმორის წყალობით გეყოლა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების მხატვრულად ჩვენება. შენთვის ადამიანური ურთიერთობები არ

იყო ჩაკეტილი ასაკობრივ ჩარჩოებში. ყველაზე დიდ წარმატებად უნდა ჩათვალოს ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა და ის ბედნიერი თაობები, რომლებიც შენს კალთებქვეშ ფრთიანდებოდა. ძალიან ახალგაზრდად დაგაწვა მხრებზე მარტოხელა დედობის ტვირთი. შეილებიც პატიოსან ადამიანებად აღზარდე. ამიტომაც აირჩია შენმა ვაჟმა ცხოვრების გზად ქველმოქმედება და კაცთმოყვარეობა. მიუხედავად იმისა, რომ წლები იყო შენი ცხოვრების ფასდაუდებელი მონაკოვარი, მაინც დიდად გვაწუხებს შენი სიშორე. პოეზია გიყვარდა. ახლაც ყურ-

ში ჩაგვესმის შენი წაყითხული პოეტური სტრიქონები:

“ჰე, გზებო, გზა-ბილიკებო, არაგვის ჭალავ ტყიანო, აგრემც არ შეწყფე, გეთაყვა, ბევრი გაქვს სახეტიალო”.


მიწიერ გზებზე “ხეტიალი” შეწყდა, თუმცა, გვჯერა, რომ შენი უკვდავი სული თავისუფლად იფრენს სასუფევლის გზა-ბილიკებზე. იმ ადამიანების ცნობიერებაში, რომლებთან ერთადაც ითანამშრომლე უამრავი წელი, არასოდეს წაიშლება კვალი კეთილი ქართველი ქალბატონის არსებობისა.

**ბაქრაძის საჯარო სკოლის პედაგოგები**





# მე ამ ქალაქში დავალ უშენოდ



შალვა ჩიტიშვილი უფროსი თაობის სამტრედიელებისთვის თავისუფლების სიმბოლოა. დისიდენტ პოეტს ამ დღეებში მს წელი შეუსრულდება. ჩვენი ვაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილია მისი შემოქმედება. იგი ამ ვაზეთის რეკოლუციის წევრი წლების მანძილზე გახლდათ.

უკეთესად ვერაფერს ვეცდით, ვიდრე ცხოვრობდით სამტრედიელი პოეტი ვრიგოლ ჯაფარიძე და ამიტომ შალვა ჩიტიშვილის ლექსებთან ერთად მის წერილის ვებგვერდზე, მათ პირველ შეხვედრასა და შეგობობაზე რომ ვგვიყვება ფერწახლო დღეთა ვადასახელებს.

“მე მას 1955 წელს შევხვდი. ის იყო ჩემთვის პირველი შემოქმედი, რომელიც პირადად გავიცანი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ახლაც თვალწინ მდებარეობს იმდროინდელი გარემო, ამინდი... განაფხვლის ჟინილიანი დღე იყო. მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, თავზე თეთრი სახაფხული ჰქონდა, ხე-ღმინეებით სიმპატიური და ელეგანტური იყო. საუბრისას სიტყვები ემოციურად და დახვეწილად წარმოხატავდა. რაიონულ გზებზე “წინსვლის” რედაქციის ერთ-ერთ ოთახში ვიჯექით. ჩვენს გარდა კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დამამახსოვრდა: შორა ვანჯალა, ვაზეთის რედაქტორი; ანზორ გრიგოლია, ჟურნალისტი; შოთა მაღლაკელიძე, პასუხისმგებელი მდივანი და კორექტორი მაყვალა. ერთმანეთს გავეცანით. ბედნიერი ვიყავი, რომ შევხვდი პიროვნებას, რომელიც სულით და გულით პოეტი იყო და მთელი რაიონი იცნობდა. ბევრმა მისი ლექსები ზეპირად იცოდა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო მის თითოეულ ლექსზე ჩემი ალფრთვანება და თავიანთსკემა გამოემთქვა, მაგრამ ვერ ვებედავდი. დაღუპებული ვიყავი შთაბეჭდილებებით და ემოციებით. ჩემი მოგონება არ გამოპარვია. დიდი ხნის ნაცნობი ბეჭეტი დამაღი ხელი და სიფრთხილი რვეული, თითქმის რომ მიცახცახებდა, გამომართვა. დადგა ჩემი უზომო წამებისა და მოუთმენლობის წამები. დუნდა და დაკვირვებით ფურცლავდა რვეულს და თავს დროდადრო ზევიდან ქვევით ხრიადა. ლექსების კითხვას მორჩა. მე ჩემი მჭირდა, ოფლაგავითქულმა მივაპყარი მხერა და ჩემდაუნებურად ჩავიღვლე ეს ისე, უბრალოდ თან გამომევა და იცოდეთ არაფერს პრეტენზია არ მაქვს, ხანდახან ჩემთვის ვერთობი-მეთქი. ყოჩაღი ვინმე ყოფილხარ, შენთვის კი არა სხეულებს უნდა წაეკითხოთ შენი ნათქვამი, თორემ რა ფასი ექნება შენთვის წერა და კითხვასო. — მითხრა. იმ წუთებში ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ერთი კი იყო, ამ სიტყვებში არც დიდი განცვიფრება ჩანდა და არც ალფრთვანება. რამდენიმე ლექსს პლუსს დაუსვა და გულწრფელი წარმატებები მისურვა, თან დაყოლია: ჩემო გრიგოლ, ცხოვრება წინაა სიხარულითა და ფიქრებით სასუსე, მთავარია ფიქრი იყო შენი ყოველდღიური თანამგზავრი. მე შენმა ფიქრებმა დამამეგობრა შენთან და ჩვენს შეგობობას აწი რა გააქრობსო. მერე წამოდგა ჩემი თავი თანამშრომლებს გააცნო და თქვა: დამამახსოვრეთ ეს ახალგაზრდა, იგი რედაქციის ხშირი სტუმარი იქნება და აბა თქვენ იცით, კალამს ხელიდან თუ არ გააგდებინებოთ.

იმ დღიდან ჩემი ცხოვრების წესი შეიცვალა, მე შალვა ჩიტიშვილის შეგირდი გახვდი, იგი კი ჩემი მოძღვარი. მეცხრე კლასიდან ყოველ კვირას მასთან მივსული ჩემი ერთგვიანად ნაცნობობით. ვსტუმრობდი სახლში, რეინიგის გადამა, ბინაში. თავიანთად მხვდებოდა მისი დე-

და ანიჩა და მამა ვასო. ვსტუმრობდი ქალაქში, სასტუმროს პირველ სართულზე, სადაც ვაზეთის რედაქცია იყო განთავსებული. უფრო მოგვიანებით იგი სამტრედიის საქმიანობის მალახიის გამგედ დანიშნეს. ეს მალახიაც რედაქციის გვერდით მდებარეობდა და მისი მომცრო კაბინეტი ჩემთვის შემოქმედებით სამკვლავ იქცა. აქ ვაყიფებდი ლექსებს, აქვე მამკვლავა შენიშვნებს, მაგულიანებდა, მამხნივებდა და შიგადაშიგ რაიონული ვაზეთის ფურცლებზე მიქვეყნებდა. მის მალახიაში ვავიციანი იმ დროისთვის გამოჩენილი პიროვნებები: გენო გეგვიძე, თორ შანიძე, იური გვახაია, არქიფო სიგუა, ნორმან რურა, ზელიო ანდრიაძე, გივი ახობაძე, ბადრი ტონია, დომენტი ახობაძე, არჩილ გურჯიაძე, ზურაბ კუხიანიძე, გიორგი სამხარაძე, კონსტანტინე მეძველია, დომენტი გოგიტიძე, ვაჟა ნიკოლეიშვილი და ვინ იცის ვინ არა. მათ შორის ჩემი თავიც აქ ვავიციანი!

შალვა ჩიტიშვილი სამტრედიელ კულტურული ღონისძიებების ცოცხალ კერად აქცია. მისი თაოსნობითა და ორგანიზატორობით ხისტიმეტრად იმართებოდა ლიტერატურული ღონისძიებები, გამოჩენილ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა საიუბილეო და საავტორო საღამოები. ასე შემორჩა ჩემს მეხსიერებაში შოთა რუსთაველის, სულხან-საბას, მაიაკოვსკის, გალაკტიონის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქაჩელის, დემანა შენგელიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, კარლო კალაძის, ენათმეცნიერის აკაკი შანიძის, მხატვარ რობერტ სტურუას, მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის, გიორგი კაჭახიძის დაუვიწყარი საღამოები.

შალვა უზომოდ შეგვარებული იყო სა-

მტრედიანზე. ხშირად ამბობდა, მე სამტრედიიდან არსად არ წავალ. მე ჩემს ქალაქს ვერასოდეს ვერ დავთმობ და სამუდამოდ მასთან დავრჩები. ასე მოიქცა. იყო ზემოქმედებით ამაყი და მართალი, მეგობრის გვერდით მდგომი და მისი ბუღის თანახმად. ხშირად მარცხებდა მისი პრინციპულობა და გულწრფელობა. მივირდა როგორ თავსდებოდა ამ კაცში უკიდევანო სიკეთე, სიყვარული, მოძმისადმი თავდადება, თავგანწირვა და უნებარე სამსახური. იყო პირველი მუნარი, საზოგადოების შემავარჯლარებელი და შემოფხიზლებელი. ამიტომაც უკომპრომისოდ იღებდა მონაწილეობას რაიონში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციებში და სხვადასხვა საქმიან ღონისძიებებში. მისი გამოჩენა ასეთ თავგრილობებზე მდროეულებს შიშის ზარს სცემდა. სამაგიეროდ, შალვა ჩიტიშვილის სახელს ძირფეხიანად უოვალთვალდებდნენ. შავი ლაქებით აფერადებდნენ და მის მიმართ თავადვე თხზავდნენ მზაკვრულ გეგმებს. ჩვენდა სამარცხვინოდ, ასეთ საამაყო და სათაყვანებელ კაცს დროზე ადრე მოესწრაფა სიცოცხლე, რამეთუ უძლეველი აღმოჩნდა ბოროტი ძალა ამა სოფლისა. დარჩა გამოუცემელი წიგნები და ის აღიარება რაც მისი ლექსების გამოცემას უღალდებდა და მოეტანა. მე ამ ფრაგმენტულ გახსენებას მოგონებით ვაწვდი მკითხველს, რამეთუ ბევრი სათქმელი ისევ და ისევ თავში მიტრიალებს, დასავიწყებლად ვერც მე ვიშუტებ და არც ის მეშეება, ასე რომ მე ისევ პოეტის ცეცხლს ვეფერები. ჯერ ადრეა დავიწყების ფერფლთა თოვა, რამაც შეიძლება ყველაფერი დაფაროს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების

მშენიერი წლები შალვა ჩიტიშვილთან მეგობრობაში გავატარე და ახლა ღვთის წყალობით მეძლევა საშუალება მისი ორი ქალიშვილის ჭირისა და ლხინის გაშხარებული ვიყო, რომლებსაც ყოველ შეხვედრანზე საოცრად ვამსგავსებ მამას. და ბოლოს ეს გახსენება ჩემი ადრეული ლექსით მინდა დავასრულო რომელსაც “მე ამ ქალაქში დავალ უშენოდ” ჰქვია.

ვერსად წავუყველ, ვერსად გავიქმე მე იმ სიმართლეს, რომ შენ არა ხარ... შენი საფლავის ლოდო გაცივდა, გადავიარა მკერდზე ბალახმა. მე უშენობა მტანჯავს ძალიან, — მაგ ღემილისთვის არ მემეტები, შენთვის ქვეყანა იყო გალია, — მივირს, საფლავში როგორ ეტევი? ფერმერთაღ ნაბიჯებს რეცხავს ქარწვიმა, დღე, შემოდგომის გიხდის პარაკლისს...

შენმა ქალაქმა როგორ გავწირა? როგორ გიფარდა შენი ქალაქი! ფრთები სილურჯით ვერ დავითოვე, გულში რა უნდა დარი გავილო... სევდა, რომელიც შენ დმიტოვე, კვლავ იფოთლება და კვლავ ყვავილობს. მე ამ ქალაქში დავალ უშენოდ, (ქალაქში ბრწყინებს ისევ ლესავენი...), ვაი თუ რწმენას ვეღარ ვუშეველი, და დამეკარგოს ისიც შენსათვის. რა მზე ჩამოთოვს აწი ამ ციდან, მე რა დღეების მელის დანახვა?.. შენი საფლავის ლოდო გაცივდა, გადავიარა მკერდზე ბალახმა.”

ბრძოლა ვალხიანიძე

\*\*\*  
ისე არ ვმდერი, შენ რომ გაერთო ან ნივარდანი ვიქვირო მარტო. მე შესმის ჩემი, ვით ცივად ვფრები უხმო — თუ გინდა ქვეყნად სრულყოფილი იყოს რამე. მე მინდა ვიყო სრულყოფილი, რომ თავად უხმო დროს, რომლის კარებს მე თვით ვავიღებ.  
**პირ მიხვდნენ... არა...**  
ეს რა ელევა, რა გრობობა გამეხებული? ო, სიკაპრიზზე ნათელ გონის გადამლახველო, აღმშენებელი, დამანგრეველი, და უცოდველო ბოღავა ამა წუთისოფლისავე, ეშმაკის სიბრძნე! გავაოცო — არ გაცივდა? საით იქვარი? ან რა ქვია ამ აჩქარებას? ო, უმცირესო გონებაო დედაკაცისავე ვერ მიხვდნენ... აწი... ო, ნინო წმინდა, წმინდა რაბია, ვერ მიხვდნენ... აწი... გვამცნე იგი შეუცნობელი.

\*\*\*  
მე შენში ვეძებ ცხოვრებას ახალს და შენს ცას ბავშურ გულით ვეხვევი. მე ვიცი ვნახავ, მე ვიცი ვნახავ, ჩემი სუნთქვით და ჩემი შეხებით. მე არ დავაგრეფ ვალუაფრდზე ხელებს, შენს ამაყ მხეში ამაყად ვივლი. მე დავაგრეფ ჩემს ღმირს მერე და წავალ ყველა შენი ტკივილით.  
**იბაროსი**  
ივაროსივით გაფრენა მინდა — ივაროსივით დაცემა არა.

ცაო, შენ იმდენ ტკივილებს იტან, ცაო, შენ იმდენ ტკივილებს მალავ, მე ცა რომ ვიყო შეგძრავდი ზესენელს, უფანეებს აუშლიდი აფრად. მერე დავწერდი პატარა ლექსებს, რომლებსაც დიდი ტკივილი ახლავს.  
**იბაროსი**  
ივალბოვ ივალბოვ, ივალბოვ თეთრო ჩიტუნავ, ამინათე სულში სამყაროს თეთრი იმედი. მე ლაფვარდობან სხივებს ვისრუტავ, როგორც სიმღერად შემართული კოლხეთის გელი. მშვიდობით, ჩემო მეგობრებო სულნო სულმნათო. მე ლაფვარდებში შენივთული, მიფრინავ შორეთს — ყოველი თქვენთავანი, ვით სიცოცხლე მინთხართ გულიან — მე ამ სიცოცხლეს ვერაფერი ვერ განმამორებს. აქ ამინთია ზომის თავზე სიმღერა თქვენი, ცისკრის ვარსკვლავის სიდაღდ ფარავს და შექნის.

\*\*\*  
ჩემში ინთება წვედადი დამე, უცნაურ განცდით დგება ღემილი, მარტვი ვინა ვარ ან რა ქვია ამ გათენებას სიკვდილ-სიცოცხლეს შენივთული მარადიულ სიმე უღროვეში? გული შეიგნე შეიგრძენი უსხეულო ჩემი სხეული და აშრიალე ჩემი სისხლი — მარადისობას შერთული კრავი ოდესღაც, სადღაც გზა რომ აებნა... როგორი იყო მამინ ჩემში მზის გამოხედა

და რას მიქვდა მერმისის სუნთქვა? შენ სად იდექი ცისიერო, სად იყო შენი სასაუფლო თვალშეუდგამი? რისთვის მღვმარებ იოველა?! ასური ელის შენს იოგებს, რათა იაზროს შენეულ სიბრძნით მიწის წიაღში კრავის დაღუპვა.  
\*\*\*  
დაკვილია ყველა კარები... უცნაური ხმით მომხახის ჩიტი. და ამაო ახლა კაცური დროა შეცურდ, დავემორჩილო ზღვის მოქცევას და უაშქცევას, მწელი ყოფილა უსამშობლო კაცის ღმილი და უფრო მწელი როცა სამშობლო გაქვს და არ იცი.  
**ღამე**  
მე ღელე ვარ და ჩხრიალი მიფარს და ვუერთდება ასე მდინარეს. მეც ჩემბურად შევხარი ცისკარს — მეც ჩემბური გზებით ვიარე. ვალურსები მწვანე ოცნებას და სამაისო მიფარს ფერები. მერე, რაა თუ ზღვის გაცივება ჩემთვის უცნაურ ჩანვის ბგერებით, ჩემს არსებობას შლის, როგორც ბავშვი დაფხე ცარცით დახატულ კაცებს. მე ღელე ვარ და არა მაქვს დარდი, ზღვა როგორც წაშლის ჩემს ღამას განცდებს.

**გალახტორის**  
რიონი ღრუბელს ზეცაში მიაქვს და ქარი ყვება უცნაურ ამბავს. თუ ღელე ყველაფერს წარსული ქვია, მითხარ, რა ქვია შენს იასამანს? ახლა სამოცდახუთია წელი, ახლა საათის სრული ათია. ფაფარაშლილი მოგვლავს ცხენი, ორბარში ფლოქეთა ცეცხლი ანთია. ზეციდან ხმები ეშვება წვიმად.

და რას მიქვდა მერმისის სუნთქვა? შენ სად იდექი ცისიერო, სად იყო შენი სასაუფლო თვალშეუდგამი? რისთვის მღვმარებ იოველა?! ასური ელის შენს იოგებს, რათა იაზროს შენეულ სიბრძნით მიწის წიაღში კრავის დაღუპვა.  
\*\*\*  
დაკვილია ყველა კარები... უცნაური ხმით მომხახის ჩიტი. და ამაო ახლა კაცური დროა შეცურდ, დავემორჩილო ზღვის მოქცევას და უაშქცევას, მწელი ყოფილა უსამშობლო კაცის ღმილი და უფრო მწელი როცა სამშობლო გაქვს და არ იცი.  
**ღამე**  
მე ღელე ვარ და ჩხრიალი მიფარს და ვუერთდება ასე მდინარეს. მეც ჩემბურად შევხარი ცისკარს — მეც ჩემბური გზებით ვიარე. ვალურსები მწვანე ოცნებას და სამაისო მიფარს ფერები. მერე, რაა თუ ზღვის გაცივება ჩემთვის უცნაურ ჩანვის ბგერებით, ჩემს არსებობას შლის, როგორც ბავშვი დაფხე ცარცით დახატულ კაცებს. მე ღელე ვარ და არა მაქვს დარდი, ზღვა როგორც წაშლის ჩემს ღამას განცდებს.

და რას მიქვდა მერმისის სუნთქვა? შენ სად იდექი ცისიერო, სად იყო შენი სასაუფლო თვალშეუდგამი? რისთვის მღვმარებ იოველა?! ასური ელის შენს იოგებს, რათა იაზროს შენეულ სიბრძნით მიწის წიაღში კრავის დაღუპვა.  
\*\*\*  
დაკვილია ყველა კარები... უცნაური ხმით მომხახის ჩიტი. და ამაო ახლა კაცური დროა შეცურდ, დავემორჩილო ზღვის მოქცევას და უაშქცევას, მწელი ყოფილა უსამშობლო კაცის ღმილი და უფრო მწელი როცა სამშობლო გაქვს და არ იცი.  
**ღამე**  
მე ღელე ვარ და ჩხრიალი მიფარს და ვუერთდება ასე მდინარეს. მეც ჩემბურად შევხარი ცისკარს — მეც ჩემბური გზებით ვიარე. ვალურსები მწვანე ოცნებას და სამაისო მიფარს ფერები. მერე, რაა თუ ზღვის გაცივება ჩემთვის უცნაურ ჩანვის ბგერებით, ჩემს არსებობას შლის, როგორც ბავშვი დაფხე ცარცით დახატულ კაცებს. მე ღელე ვარ და არა მაქვს დარდი, ზღვა როგორც წაშლის ჩემს ღამას განცდებს.



# მოვიდა მხიარული ზაფხული

მოვიდა და მხიარულადვე ატარებენ არდადეგებს მოსწავლეები, ცვროდენა გოგო-ბიჭები.

ქალაქებიც დროებით იცლება და სოფლებშიც სიხარულით ელიან ბებია-ბაბუები ნანატრ შვილიშვილებს.

ფართოდ აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოში I ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მრავალფეროვანი ღონისძიებები მიეძღვნა ამ თარიღს.

ზაფხულის, სოფლის სურათები, სოფლური ყოფა აღწერილი საბავშვო ლექსებში, პოეტმა და პედაგოგმა **ილია ლავროვიძემ** რომ გამოგზავნა და რომლითაც კიდევ ერთხელ, გულწრფელად მოუფერა ბავშვებს.

დანარჩენს ლექსებიდან შეიტყობთ, ბავშვებო, ჩვენ კი ხალისიან არდადეგებს, შინაარსიან დასვენებას ვისურვებთ.

**ლევან ბაბუნაძე**

### მაისი

მაისია, მაისია, მზემ ფუტკრები დაისია, ციდან ყვავილები ცვივა, აისი თუ დაისია.

ბლის ტოტები დაიწია, სიმღერა და ხალისია, ნუთუ ჯერაც ეს აბბავი პატარებმა არ იციან?

წუნს შაშვი და ალმაცერად, შეფაგულ მარწყვს დასცქერს ცვრიანს, მალე ალბათ ბელურებიც ცაში ქედებს აისვრიან.

მაისია, მაისია, სიმღერა და ხალისია, ციდან ყვავილები ცვივა, აისი თუ დაისია.

### ჰიტა, ჰიტა

ჰიტა, ჰიტა მზე თვალს ჭყიტავს, ცივ წყალს ვიღებ შუაგულ ჭიდან,

წინათ თუ ძილქუში მჭირდა. ყველა საქმეს მოეველება, სალი თვალით თუ განჭვრიტავ.

ხაჭაპურსაც გამოვაცხობ რა თქმა უნდა თუ დამჭირდა. აგუნდავებს ბებო ცომს და ცალი თვალით თონეს ჭვრიტავს,

სიხარულის ფრთები მესხმის, ბებო როცა ჭყინტ ყველს ჭყლიტავს. ჰიტა, ჰიტა მზე თვალს ჭყიტავს, ცივ წყალს ვიღებ შუაგულ ჭიდან.

### საავალსა მოწმარაველი მზრია

დამინახავს თუ არა მისებურად მიცინის, ორ ფეხზე რომ დადგება ფისო კვდება სიცილით.

გამარჯობის სათქმელად მარჯვენა თათს ამიწევს, ერთად მივალთ წყაროზე, შესხენებაც არ მიწევს.

გაკვეთილებს რომ ვსწავლობ, დამცქერს კულის ქიციანით, რომ მოვიწყენ, – ყუწღება, ხარობს, როცა ვუციანი.

ჰამ-ჰამ – ზოგჯერ მისთვისაც უნდა რომ მოვიცალო, უკვე დიდი ბიჭი ვარ და მეც მინდაო ვისწავლო.

### პატარა ღამითი

დაბაჯბაჯებს როგორც ბელი, დმერთო ყველას უშველე.

### თარიღი

#### ლეგენდარული დირიჟორის საიუბილეო

ბეთოპენი, ვაგნერი, შუბერტი, ბრამსი, ბერლიოზი, ჩაიკოვსკი, ბოროდინი რიმსკი-კორსაკოვი, სტრაინსკი, მოსტაკოვიჩი და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები გახლდათ ახალგაზრდა ქართველი დირიჟორის ევგენი სიმონის მე მიქელაძის რეპერტუარში.

1903 წელს დაიბადა იგი. ლენინგრადის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1931 წელს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორად დაინიშნა. 1933 წლიდან კი, ამავე თეატრის მთავარი დირიჟორია. 1937 წლიდან ევგენი მიქელაძე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრის ჩამოყალიბება. 1933-1937 წელს ბატონი ევგენი ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს.

სულ 34 წელი იცოცხლა. იგი და მისი ოჯახი, სიღერ-სიმამრი გახლდნენ მსხვერპლნი 1937 წლის სისხლიანი რეპრესიებისა, რომელმაც ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა შორისაც სჭარბობდნენ ლიტერატურის, მედიცინის, ხელოვნების მუშაკები, თვალსაჩინო ინტელიგენტები.

ფენომენალური სადირიჟორო მონაცემებისა და სრულყოფილი მუსიკალური ნიჭიერების მქონეებით, ლეგენდარულმა დირიჟორმა სწრაფად მოიპოვა დიდი ავტორიტეტი, არა მარტო საქართველოსა და საბჭოეთში, არამედ მსოფლიოში.

რომ არა რეპრესიები და ვამი უნდობარი, დირიჟორი ბოლომდე დაიხარჯებოდა როგორც პროფესიონალი და კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

სასიამოვნოა, რომ საქართველოსა და მის მშობლიურ სამტრედიამდე ჯეროვნად დაფასებული ხსოვნა და სახელი დიდი დირიჟორისა. მის სახელს ატარებს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ევგენი მიქელაძის სახელობისა ქალაქ სამტრედიის ერთ-ერთი ქუჩა.

115 წელი სრულდება ამ დღეებში ევგენი მიქელაძის დაბადებიდან. ვიმედოვნებთ, ქვეყნის მასშტაბით და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც მნიშვნელოვანი ღონისძიებები მიეძღვნება ამ მოვლენას.



არც ბაბუას არ გადადის თავზე ცოდნა ძალიან, თუმც ბავშვებს რომ ამზადებენ ნეტა რას ასწავლიან? მე კი მათზე ბევრად მცოდნე, დასჯილი ვარ ტიალო და თორმეტი წელიწადი ტყვილა უნდა ვიარო.

### პირველი ზვილიაპილი

ტყეში მივეყვები ბაბუას, საქმეს თანდათან ვეწვევი, უკვე ბაწრით რომ დამაბან სახლში უსაქმოდ ვერ ვრჩები.

იქ ჭანჭყობა და ცივა, მიტომაც ვაშურე ქქერები, წყალიც რომ არ შემევიდეს ქონით გაგპოზე ჩქქქები.

ბაბუას გვერდს რომ ვუშვებ, თითქოსდა ფრთები მესხმება დიდ ხეს რომ მოჭრის ნაჯახით, წაღლით წვრილ ტოტებს მე ვსხეპავ.

იქვე ბალახობს ფერდობზე ჩვენი ნიშა და ნიორა, თავი ზღაპარში მგონია, იყო და არა იყო რა...

ურემს სულ მალე ავაგებთ, ჩარმაცებს კი არ ვუყურებთ, ჩამოვიტანთ და დაეჩხვებთ და ბუხარს ავაგებუებთ.

### ხარობს ჩვენი ბელი

ხარობს ჩვენი გელია, ოდელია-დელია, მამლის წელი წავიდა ახლა ძალიან წელია. ხმა ჩაიგდო მამლო, გვეოს რაც გიმღერია, თავი ხომ არ გგონია საცოდავო ფერია. ვითომ რამეს აკეთებ, ლობე-ყორე ფრენია, დღისითაც რომ გაჰყვიო ხომ არ გაგოფრენია. ელია და მელია, ოდელია-დელია, მამლის წელი წავიდა ახლა ჩვენი წელია.

### სამართლიანი

შენი გულის კარიბჭისკენ ბილვს როცა დავადგები, სიხარული მეუფლება სიხარული გადამდები. შენს საგმირო ლექსებს ვმღერო ხან ხმამაღლა, ხანაც გულში, არასოდეს დავიღლებ ჩემი ქვეყნის სიყვარულში. ცაო ჩემო, მიწა ჩემო, ია-ვარდით მოფენილო, დედასავით საყვარელო, ტკბილო, თბილო და კეთილო.



ლევან გაბუნაძე, მურად გელეიშვილი, შუქრი ურუშაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლეონტიოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ბატონი **პარლო პარმინის ძე ჰაშიძე** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

**ლევან ბაბუნაძე**



# ავთანდილ კუტალაძე საქართველოს პირსხლის პრიზიორია

6060 ნაწილაკი

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა ქალაქ ახალციხეში, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის უძლიერესი მოჭიდავეები.

სამტრედიიდან ახალციხის ჩემპიონატში ასპარეზობდნენ კლუბ "ფალავანის" აღსაზრდელები (დირექტორი ირაკლი მელაშვილი).

შეჯიბრება ჩატარდა პირადი პირველობით. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამტრედიის ღირსებას ავთანდილ კუტალაძე იცავდა.



მან შესანიშნავად იასპარეხა, 5 შეხვედრიდან 4 დამაჯერებლად მოიგო და ფინალურ ეტაპზე გავიდა. ფინალში ავთანდილ კუტალაძე ხაშურელ ფალავანს დაუპირისპირდა და უთანასწორო ბრძოლაში იგი მინიმალური ანგარიშით დამარცხდა.

ავთანდილ კუტალაძემ ახალციხის ჩემპიონატში დასავლეთ საქართველოს შესარჩევი ეტაპი გაიარა. შეხვედრა ზესტაფონში ჩატარდა, სადაც იგი 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებული გამოვლინდა, რითაც მან მოიპოვა უფლება, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიეღო.

ზესტაფონში სამტრედია ასახელეს ლუკა ქალდანმა, თორნიკე დოლიძემ, სერგო გოგიშვილმა და თორნიკე ადეიშვილმა. მათ სხვადასხვა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები დაიკავეს, რითაც მიეცათ უფლება, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიეღო.

“სამტრედიის მაცნეს” აღნიშნული ინფორმაციით დაუკავშირდა მსოფლიო ჩემპიონი, ქართული ჭიდაობის უფროსი მწვრთნელ-მასწავლებელი ბადრი შენგელია.

მან გუნდის მომზადებასა და მის მიღწევებზე ისაუბრა: “ახალციხეში ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. იგი წელიწადში ერთხელ იმართება და ეროვნული ჭიდაობის პოპულარიზაციას, პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენას ემსახურება, რომლებიც შემდგომი წარმატებებისთვის ბოლას აგრძელებენ საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში, ევროპასა და მსოფლიო ჩემპიონატებში, კერძოდ, ძიუდოსა და სამბოში. აქვე აღვნიშნავ იმას, რომ ძიუდოს პოპულარიზაციასა და სამტრედიის მის დაწესებულებაში მთავარი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ავთანდილ თარგამაძეს და მწვრთნელს, ბესარიონ შვანგირაძეს. არ შეიძლება, არ ითქვას ის, რომ ჩვენი ბიჭების ბოლოდროინდელი წარმატება, რომლის შესახებაც ამჟამად ვაიმბეთ, განპირობებულია იმ სპორტსმენების მიღწევებით, რომლებიც არიან უმანგი მარეანი, მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში და ძიუდოში, გიორგი ზაქარაძე, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი. ეს ახალგაზრდები თავის დროზე წარმატებულად გამოდიოდნენ ეროვნულ ჩემპიონატებზე, დღეს კი ქართული ჭიდაობის მდიდარი არსენალი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის ასპარეზზე გააქვთ. ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ასპარეზობებზე ფალავანის ტიტულის მოსაპოვებლად”.



## ასე ახარა ერთ-ერთმა ფილანდელფორმის გავითმა კაითხველს ჯორჯ ვაშინგტონის მიერ თანაგაღობის დატოვება?

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ლეგენდარ ქვეყნულმა პირველმა პრეზიდენტმა – ჯორჯ ვაშინგტონმა (1732-1799 წლები) თანამდებობა დატოვა, მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართ ერთობ კრიტიკულად განწყობილმა, “მშური სიყვარულის ქალაქად” წოდებულ ქალაქ ფილადელფიაში გამოძავალმა ერთ-ერთმა გავითმა აღნიშნული ფაქტი მოსახლეობას შემდეგი სახის ინფორმაციით ახარა: “კაცი, რომელსაც ბრალი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის მთელ უბედურებაში, დღეიდან ჩამოქვეითებულია თავის თანამოქალაქეთა დონემდე და აღარ ექნება უფლება ამრავლის შეერთებული შტატების ჭირ-ვარაში. ყველას, ვისი გულიც ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ძეგრს, დღეს სიხარულით აესეებს მისი შეგნება, რომ შეწყდა ჯორჯ ვაშინგტონის მიერ დაკანონებული უსამართლობა და კორუფცია”.



Genia.ge



ქალაქ სამტრედიის, რუსთაველის ქ. № 23-ში, პირველ სართულზე გაიხსნა ბინების, სახლების, ნაკვეთების, მანქანების ყიდვა-გაყიდვის, გაქირავება-დაგირავების, დასაქმების სააგენტო.

ტელ. 557 35 26 53. 577 35 19 89. გელოდებით!



## კულოცავთ!

შუქურა კოტრიკაძე, ნორა ნორაკიძე, კლარა აბრამია... ნანა ღვინფაძე. აი, ქალბატონები, რომლებიც ჩემი თაობის ბავშვობისას თუ ახალგაზრდობისას გამოძავალ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდნენ, ანუ მაშინ თითქმის გავითს ვერ ნახავდით მათ მიერ მომზადებული სტატიები არ ყოფილიყო შიგ.

ბუნებრივია, მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, არც ის ბედნიერება მრგებია წილად, ოდესმე პირისპირ შეხვედროდი ქალბატონ ნანას.

ქვეყნის მასშტაბით უბედესი (და უპირველესი), რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წ.) გავითი “საქართველოს რესპუბლიკა” გულწრფელად და თბილად ულოცავდა ამ დღეებში ქალბატონ ნანას ღირსეულ იუბილეს – 90 წლის შესრულებას.

მანამდეც მსმენოდა, უმშენიერესი ქალბატონი არა ერთხელ რომ გამხდარა ქართველ მხატვართა, მწერალთა და შემოქმედთა მუხა.

უდიდესი პატივით ვულოცავთ ჩვენს უფროს, უცნობ, თუმცა საოცრად ახლობელ ქალბატონს იუბილეს და წელთა სიუხვეს ვუსურვებთ.

ლევან ბაბინავა

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბეჰან გოგიანი  
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე  
გამომცემი რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბინავა  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავა